ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 1 ივნისი, 2016 №128 (7054) ფასი: 50 თეთრი

## გიორგი ისაკაძე „მაესტროდან“ გაუშვეს



გვ.3

31 მაისიდან

სომერსეტ მოემი

მთვარე და ექვსპენიანი

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# გიგლა ბარამიძე: „ბიძინა ივანიშვილი შანტაჟზე გადავიდა“



გვ.3

„ყოფილი პრემიერი მეორე წრეზე აპირებს წასვლას“

## „ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ნაციონალების გადასარჩენად“



## კვირიკაშვილი: „ნიკა გვარამიას საუბრის ასეთი გონორი არ უნდა ჰქონდეს“



გვ.2

გვარამია: „კვირიკაშვილმა თავის გონორს მიხედოს“



## „ბურჭულაძე ხმებს ნაციონალებს წაართმევს“

რამაზ საყვარელიძე: „წინასაარჩევნოდ კომპრომატების ომი აუცილებელია“





გვ.5

## გია ჟორჟოლიანი: „საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე საუბარი ახლა არასერიოზულია“



გვ.2



გვ.4

## პაატა ჟიბლაძე: „ქართულ ოცნებას“ 2012 წელსვე უნდა გამოეძიებინა ნაციონალების დანაშაულები“

## მარგველაშვილმა პარლამენტის კანონპროექტს ვეტო დაადო



გვ.5



უმრავლესობა ვეტოს დაძლევაზე უარს ამბობს

მეჭიაური: „გაუჭირდებოდა!“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

## პირველად საქართველოში 4.5G (LTE-Advanced) ქსელი მაგთისგან

მაგთიკომი MAGTICOM

პირველად საქართველოში მაგთიკომი თავის მომხმარებლებს 4.5 თაობის, უახლესი ვერსიის ქსელს შესთავაზებს.

მაგთიკომი პირველია საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებს შორის, რომელიც 4.5G (LTE-Advanced) ქსელით იწყებს ოპერირებას.

2016 წლის 31 მაისს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამართულ აუქციონზე მაგთიკომმა 800 MHz სიხშირეთა სპექტრი შეიძინა, რომლის ღირებულებამ 25,391,303 ლარი (ოცდახუთი მილიონ სამას ოთხმოცდათერთმეტი ათას სამას სამი ლარი) შეადგინა. აღნიშნული თანხა მთლიანად საქართველოს ბიუჯეტში მიემართება.

**დღეისათვის მაგთიკომი ერთადერთი მობილური ოპერატორია ქართულ ბაზარზე, რომელიც ორი სიხშირული სპექტრის (LTE 800 და LTE 1800) კომბინაციით მომხმარებელს 4.5G (LTE-Advanced) ქსელსა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს, მკვეთრად გაზრდილი ინტერნეტსიჩქარით.**

წლების განმავლობაში მაგთიკომს ინტერნეტმომხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს (იხ. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემები **https://analytics.gncc.ge/ka/statistics/?c=mobiles&sid=148681&f=mobinttraffic&exp=traffic**). ეს იმის დასტურია, რომ მობილური ინტერნეტის მომხმარებელი ყველაზე ინტენსიურად მაგთიკომის ქსელით სარგებლობს. ამიერიდან კი მაგთიკომის მომხმარებელი უსწრაფესი მობილური ინტერნეტით ისარგებლებს, ტექნოლოგიურად კიდევ უფრო წინ წაწეული, ვრცელი და მაღალი სიხშირით დაფარული LTE-Advanced ქსელის საშუალებით.

# კვირიკაშვილი: „ნიკა გვარამიას საუბრის ასეთი გონორი არ უნდა ჰქონდეს“

## გვარამია: „კვირიკაშვილმა თავის გონორს მიხედოს“

კვირიკაშვილი: „მე ვემხრობი, რომ რუსთავი 2 დარჩეს ისეთად, როგორიც არის, ჰყავდეს დირექტორი ნიკოლოზ გვარამია. არანაირ საშიშროებას ჩვენთვის ეს არ წარმოადგენს“

გვარამია: „პრემიერ-მინისტრი დღეს წულუკიანია და არა – კვირიკაშვილი“

გუშინ, 31 მაისს, სააპელაციო სასამართლოში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმის განხილვა გაგრძელდა.

სასამართლოსთან ტელეკომპანიის მხარდამჭერები იყვნენ შეკრებილნი. მათთვის დამონტაჟებული იყო სპეციალური მონიტორები, სადაც საშუალება ჰქონდათ, უწყვეტ რეჟიმში ედევნებინათ თვალი პროცესისთვის.

ტელეკომპანიის ადვოკატები აცხადებდნენ, რომ საქმის განხილვა ფორსირებულ რეჟიმში მიმდინარეობს.

– ნათლად ვხედავთ, სასამართლო როგორ არის მოტივირებული, რომ სასწრაფოდ დაამთავროს ამ თემზე მსჯელობა. სავარაუდოდ, სააპელაციო სასამართლო შეეცდება, ამ პროცესზევე დაასრულოს საქმის მსვლელობა. სასამართლოს ქმედებებში ნათლად ჩანს, რომ ისინი მიკერძოებულები არიან, არაერთხელ გახდა ეს აცილების საფუძველი, თუმცა მათ არ აიცილეს. შესაბამისად, შესაძლებელია, მათი აცილების საკითხი ამ პროცესზეც დავაყენოთ, – განაცხადა რუსთავი 2-ის იურისტმა თამთა მურადაშვილმა.

ქიბარ ხალვაშის ადვოკატი პაატა სალია კი არ იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ სასამართლო პროცესების დაჩქარება ხდება.

* * *

სასამართლოზე ინციდენტი მოხდა. რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას პროცესი დაატოვებინეს.

ნიკა გვარამიამ სასამართლო მიკერძოებულობასა და წინასწარ დაწერილი განაჩენის გამოტანაში დაადანაშაულა.

მოსამართლე ნატა ნაზღაიძემ კი გვარამია დაუსაბუთებელი განცხადებების გაკეთებაში დაადანაშაულა და მას დარბაზი დაატოვებინა.



– როდესაც მოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ჩვენ გამოვაცხადებთ. თქვენ პაკეტში დალუქული სახით იქონიეთ ის, ვიღაცის დაწერილი განცხადება და საჯაროდ გახსენით. თუ დაემთხვევა ჩვენ მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თქვენი სასარგებლო იქნება თუ საწინააღმდეგო, საჯაროდ ვაცხადებ, გავიხდი მანტიას, დავტოვებ ჩემს თანამდებობას და არა მარტო ამას გავაკეთებთ, თქვენ სრული უფლება გექნებათ, აღძრათ ჩემ წინააღმდეგ საქმე, – განაცხადა მოსამართლე ნათია გუჯაბიძემ.

სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემდეგ ნიკა გვარამიამ თქვა, რომ მას მოსამართლე ნათია გუჯაბიძის განცხადებაზე რეპლიკის გაკეთების საშუალება არ მისცეს, შემდეგ კი პროცესიდან გააძევეს.

– ისიც ვერ გავარკვიე, რისთვის გამომაძევა, ვთხოვე ახსნა, რომ ჩემი თავი დამეცვა, სამომავლოდ მაინც, მაგრამ ეს განმარტება ვერ მივიღე, მაგრამ ისიც ვერ გავარკვიე, მთლიანად პროცესიდან გამომაძევა თუ სხდომიდან.

აქ ჩვეულებრივი ზონდერული მუშაობა მიდის მოსამართლეებისგან, განსაკუთრებით ნატა ნაზღაიძეა ამაში შემჩნეული და აკვირვებს ხოლმე თავის კოლეგებს. ნატა ნაზღაიძე არის ურთმელიძე კაბაში, არავითარი სხვაობა მათ შორის არ არის, ერთნაირად დაამთავრებენ ნატა ნაზღაიძეც, თამაზ ურთმელიძეც და თეა წულუკიანიც, – განაცხადა გვარამიამ.

არხის გენერალური დირექტორი აცხადებს, რომ სასამართლო კოლეგიას ფორსირებულად პროცესის განხილვის დავალება აქვს.

– ყველაფერს გავაკეთებ, რომ ფორმალურადაც არ იყოს ის მოსამართლე, მანტიის გახდაზე თამაშს არავისთან ვაპირებ, მაგრამ ამ ქალს მანტიას აუცილებლად გავხდით, რადგან ის არ არის მოსამართლე, ის არღვევს ყველანაირ პროფესიულ სტანდარტს, კანონმდებლობას და დაამთავრებს ცუდად, ამას მას ვპირდები, ამის გარანტიას ვაძლევ 100-პროცენტიანს, – აღნიშნა ტელეკომპანიის დირექტორმა.

* * *

ნატა ნაზღაიძე რუსთავი 2-ის საქმის მოსამართლე სულ ცოტა ხნის წინ გახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადების მიხედვით, რუსთავი 2-ის საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2015 წლის 28 დეკემბერს შევიდა და დაეწერა მოსამართლე ლილი ტყემალაძეს.

2016 წლის 15 მარტს მოსამართლე ლილი ტყემალაძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების მიზეზით, აღნიშნული და მოსამართლის განხილვაში არსებული სხვა საქმეები,



მათი განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, გადაეცა სასამართლოს კანცელარიას ხელახალი განაწილებისთვის.

შედეგად რუსთავი 2-ის საქმე დაეწერა მოსამართლე ნატალია ნაზღაიძეს.

* * *

– არ ვისურვებდი, მეხილა რუსთავი 2 შეცვლილი და ამით ვინმესთვის სპეკულირების საშუალება მიმეცა, მით უმეტეს, წინასაარჩევნო პერიოდში.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, საკუთრების საკითხს იხილავს სასამართლო. ეს არის სამოქალაქო პროცესი და მთავრობას მასში ჩარევის არანაირი უფლება არ აქვს.

– კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ჩემი

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გია ჟორჟოლიანი: „საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე საუბარი ახლა არასერიოზულია“

ნათია ხურცილავა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, სოციალ-დემოკრატი **გია ჟორჟოლიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ 8 ოქტომბრის საარჩევნო გარემო ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება და ამას ხელს კანონმდებლობის გამკაცრებაც შეუწყობს.

***– ბატონო გია, საარჩევნო კოდექსში ცვლილებასთან დაკავშირებით ინტერპარტიული ჯგუფის 5 პუნქტიანი შეთავაზებიდან ხელისუფლება რამდენ პუნქტს გაითვალისწინებს?***

– რიგი შენიშვნებისა და შემოთავაზებებისა ინტერპარტიული ჯგუფის მიერ, ჩვენ გავითვალისწინეთ მანამ, სანამ ეს საკითხები კომიტეტებზე გავიდოდა. არის საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს იმ პარტიების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლებმაც ვერ გადალახეს ბარიერი და არ აქვთ კვალიფიციური პარტიის სტატუსი. საუბარია საეთერო დროის გამოყოფაზე, დაფინანსების საკითხზე და ა.შ. გარდა ამისა, საარჩევნო კანონმდებლობაში არის მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც ქვეყანაში ზოგადად საარჩევნო გარემოს გააუმჯობესებს.

***– ხელისუფლებას აქვს მზაობა, რომ ოპოზიციის ხუთპუნქტიანი შეთავაზებიდან რამდენიმე მაინც გაითვალისწინოს?***

– რამდენიმე პუნქტი ამ შემოთავაზებიდან ჩვენ გავითვალისწინეთ, მაგრამ ამას უკმაყოფილება მოჰყვა სხვადასხვა პარტიებიდან. ინტერპარტიული ჯგუფის ნაწილი მხარს უჭერდა, მეორე ნაწილი არ უჭერდა მხარს. ასეთი ვითარება შეიქმნა.

***– რამდენი შეთავაზება გაითვალისწინეთ?***

– ხუთიდან სამი თუ ოთხი შეთავაზება გავითვალისწინეთ, მაგრამ ინტერპარტიული ჯგუფიდან, რომელიც დაახლოებით 11 პარტიისგან შედგება, სამმა პარტიამ თქვა, რომ ეს ცვლილებები არ ვარგა. ამის გათვალისწინებით, რა სახის იქნება ეს ცვლილებები კენჭისყრის შემდეგ, ვერ გეტყვით.

***– ოპოზიციის ერთ-ერთი შეთავაზება ე.წ. გერმანული მოდელია. 8 ოქტომბრის არჩევნები არსებული სისტემით ჩატარდება თუ შესაძლებელია, ე.წ. გერმანული მოდელი იქნას მიღებული?***

– საარჩევნო სისტემის ცვლილება არ იქნება, ეს არის ცხადი, რადგან ნონსენსია ახლა ამაზე საუბარი. ეს უკვე ათასჯერ არის ნათქვამი. 8 ივნისს საარჩევნო კამპანია გახსნილად ცხადდება და არასერიოზულია ახლა არჩევნების სისტემის შეცვლაზე საუბარი. ჩვენ გვაქვს ინიციატივა, საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც გულისხმობს 2016 წლის შემდეგი არჩევნების ჩატარებას განსხვავებული საარჩევნო სისტემით, მრავალმანდატიანი პროპორციული სისტემით.



***– ხელისუფლება იყო ინიციატორი, რომ ეს ცვლილებები 2020 წლის არჩევნებისთვის მოეხდინა. დღეს რა ვითარებაა, ეს საკონსტიტუციო ცვლილება მოხდება?***

– არ ვიცი, უმცირესობა უჭერს მხარს ამ ცვლილებებს თუ ბოიკოტს აცხადებს, რადგან ეს არის საკონსტიტუციო ცვლილება. საარჩევნო სისტემის ცვლილება ასე ვერ განხორციელდება. წელს მხარს არ ვუჭერთ, მაგრამ 2016 წლის არჩევნების შემდეგ თუ საპარლამენტო უმცირესობა მხარს დაუჭერს, შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობა მოგროვდეს და საარჩევნო სისტემის ცვლილება მოხდეს.

***– ინტერპარტიული ჯგუფის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუ საარჩევნო კოდექსში რეალური ცვლილებები არ განხორციელდა, ხელშესახები ცვლილებები არ მიიღეს, რაც საარჩევნო გარემოს გააუმჯობესებს, ისინი არჩევნების ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ დააყენებენ. მართლაც შეიძლება არჩევნების ლეგიტიმაციას საფრთხე შეექმნას?***

– 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში საარჩევნო გარემო ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. თუ რამე ხარვეზები არსებობს, ჩვენ ამ ხარვეზებს აღმოვფხვრით და ამას აუცილებლად გავაკეთებთ. ვინც წააგებს, ის უკმაყოფილო იქნება და ეს ცხადია. ამ პარტიების უმრავლესობამ წინასწარ იცის, რომ არჩევნებს წააგებს და ახლა, აქედან გამომდინარე იწყებს ამაზე საუბარს.

ლეგიტიმაცია ხალხის თვალში უნდა ჰქონდეს არჩევნებს და არა – ვილაცების თვალში, რომლებიც ამბობენ, ხალხის სახელით ვსაუბრობთო. ეს ყოვლად უსაფუძვლოა. ჩვენ მხარს დავუჭერთ, რომ ამ არჩევნებზე მაქსიმალურად იყვნენ საერთაშორისო დამკვირვებლები და არჩევნები გამჭვირვალედ, სამართლიანად ჩატარდეს.

***– თქვენ ამბობთ, რომ უკეთესი საარჩევნო გარემო იქნება?***

– რა თქმა უნდა. ვინც ვერ ხედავს და არ იცის, თუ რა გარემო შეიქმნა 2012 წლის შემდეგ საქართველოში, მისთვის პასუხის გაცემა ზედმეტად მიმაჩნია. რადიკალურად არის საარჩევნო გარემო ქვეყანაში შეცვლილი. აღარც რეპრესიებია, აღარც შვილებს უჭერენ, აღარც მასწავლებლები არიან იძულებით საარჩევნო პროცესში ჩართული და აღარც ბიზნესი, ეს ხომ უნდა დაინახონ.

***– ბატონო გია, თქვენი ოპონენტები ალბათ კორცხელის ინციდენტს შეგახსენებდნენ.***

– კორცხელის ინციდენტს ძალიან სერიოზული შეფასება მოჰყვა პრემიერ-მინისტრისგან. პირადად მეც სერიოზული განცხადება მქონდა, როგორც უმრავლესობის სხვა წევრებს. მოვუწოდებთ ყველა მომხრესა და სამართალდამცავ ორგანოს, რომ ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რათა პროვოკაციებმა არ გამოიწვიოს მსგავსი ინციდენტები. ძალადობა აბსოლუტურად მიუღებელია. ჩვენ კანონსაც გავამკაცრებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ვინც შეეცდება, ძალადობა გამოიყენოს, ის აღმოჩნდება იქ, სადაც უნდა აღმოჩნდეს ასეთი საქციელის გამო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიგლა ბარამიძე: „ბიძინა ივანიშვილი შანტაჟზე გადავიდა“

## „ყოფილი პრემიერი მეორე წრეზე აპირებს წასვლას“

შორენა მარსაგიშვილი

რა გზას დაადგა ივანიშვილი, რა გარიგებაა ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებებს შორის, ვინ და რატომ ატეხა რუსთავი 2-ის გარშემო გაუგებარი ამბები, ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

***– „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ახალი წევრი ცოტა ხნის წინ გამოვიდა და ნაცმოძრაობა გარემოების მსხვერპლად შერაცხა. ბიძინა ივანიშვილმა კი ამ დღეებში განაცხადა, მთელ ჩემს რესურსს გამოვიყენებ, ეგენი უკან რომ არ დაბრუნდნენო. თქვენი აზრით, რა ხდება „ქართულ ოცნებაში“, რატომ აკეთებენ ასეთ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს?***

– რა ხდება და თავს ვერაფერს აბამენ. ბიზნესი ერთია, მაგრამ კადრების შერჩევა და თანამდებობაზე ყოფნისას პრინციპულობის შენარჩუნება, სულ სხვაა. რას ითხოვთ იმ გუნდისგან, რომელიც ჯერ შეიკრიბა, მერე დაიშალა. ახლა გარბიან და გამორბიან. სად გინახავთ, სამთავრობო გუნდში იყოს პარტია და ოპოზიცია ვართო, გაიძახოდნენ. ეს გახლავთ ჩვეულებრივი პროვინციული, ქართული პოლიტიკური აჯაფსანდალი, სადაც მთქმელი თავის სიტყვაზე პასუხს არ აგებს.

როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს ახასიათებს მოსახლეობის დაშანტაჟება. 3 წლის წინ მან გამოგვიცხადა, თუ გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად არ აირჩევთ, გავნაწყენდები და პოლიტიკიდან წავალო. ახლაც ასე იქნება, შემოგვაჩეჩებს თავის კანდიდატს და მერე ეს კანდიდატი მისი მტერი გახდება. საქართველო კი ამათი დაპირისპირების მძევლად იქცევა ხოლმე.

მე მას არასდროს დავუკარგავ იმ დამსახურებას, რაც 2012 წლის 1 ოქტომბერს გააკეთა, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. გვიყვება, ტირანია იყო და ჩვენ თუ არ აგვირჩევთ, ისევ ისინი დაბრუნდებიანო. მართალია, უნიათოები ვართ, მაგრამ ხალხს მაინც არ ვაუპატიურებთ და არ ვხოცავთო.

ეს ყველაფერი ნაციონალებთან შეთანხმებული თამაშია. ყოფილი და მოქმედი ხელისუფლება პოლიტიკური სპექტრის პოლარიზებას ახდენენ. ერთ მხარეს ნაციონალები არიან, ხოლო მეორე მხარეს – მკვდარი „ქართული ოცნება“. ყველაფერს აკეთებენ, რომ თავისუფალი სივრცე ამოავსონ, რათა ჯანსაღმა ოპოზიციურმა ძალებმა პარლამენტში შესვლა ვეღარ შეძლონ. რაც უნდა იხუნტრუცონ, ჯანსაღი ოპოზიცია საკანონმდებლო ორგანოში მაინც მოხვდება.

ძალიან მიკვირს, რატომ მიდის მოქმედი პრემიერის ასეთი გამწარებული ქება-დიდება. მისი პოზიცია არის ის, რომ არა აქვს პოზიცია. ქარი საითაც დაუბერავს, იქით იხრება – ხან მემარჯვენეა, ხანაც მეოცნებეა. მაინც ვერ მოასვენა გამჩენმა და „ოცნებაში“ ისეთი კადრი მოიყვანა, რომელმაც სისულელეს სისულელე მოაყოლა. დავით კოღუაშვილის აზრით, სისხლიანი რეჟიმის შემქმნელები ნიჭიერი ხალხი ყოფილა.

იმ ხალხის მიმართ აქვთ ნოსტალგია, რომლებმაც 2011 წლის 26 მაისს სისხლისღვრა მოაწყვეს და ვამპირებივით 2 გვამს ითხოვდნენ. ამ მონატრებას იმ გუნდის წევრი განიცდის, რომლის მამა და მარჩენალი ივანიშვილია. ამის შემდეგ როგორ უნდა დავუჯეროთ ამათ წერილებს და განცხადებებს. რისიც მჯერა, ისაა, რომ ამათ ერთადერთ მიზანს პარლამენტში თავის შეყოფა წარმოადგენს.

ძალიან მიკვირს იმ ხალხისაც, ვინც ივანიშვილის წერილისგან თუ ეპისტოლესგან რაღაც სასწაულს ელოდა. თავადაც აღიარებს, რომ ეს ნაშრომი სრულყოფილი არაა და დაგვპირდა, სრულყოფილად ტელეგამოსვლებით დაგელაპარაკებითო. მერე დაამატა, კიდევ უფრო სრულყოფილად სექტემბერში გამოვიტან ჩემს მოსაზრებებსო. ეს კაცი თავადაც გრძნობს, რომ არ დააკმაყოფილა ხალხის ინტერესი.



### „ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ნაციონალების გადასარჩენად“

***– სამაგიეროდ, მისი თანაგუნდელები არიან აღფრთოვანებული. ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს ამ წერილმა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა გაახსენა.***

– ილია ჭავჭავაძეს რომ ახსენებ, ეს ადამიანი კარგად უნდა იცოდე. მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა არავისთან მოსატანი არ არის, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ ხომ პატრონყმური დამოკიდებულებაა. როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის პოსტზე იყო, მისი ნათესავები ამბობდნენ, ილია ჭავჭავაძის მაგვარი ბრძენი კაცი მხოლოდ ივანიშვილიაო. ხვალ ვილაც გაიმეორებს ამას და გააგრძელებენ ასე.

ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა როგორ უნდა მოვთხოვო იმ ხალხს, რომლებმაც დამოუკიდებლობის ფასიც კი არ იციან. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე ისეთი მიღება და ფიცის დადების ცერემონიალი გამართეს, რომ მოსახლეობა არ დაასწრეს. სამაგიეროდ, თავისთვის ტრიბუნები გაიკეთეს, შემოსრიალდნენ მერსედესებით და ყვავებივით ჩამოსხდნენ.

პომპეზურად მოგვილოცეს დამოუკიდებლობის 25 წლისთავი და გგონია, რომ ახლა დასცხებენ საქართველოს ჰიმნს. მეტი არაა ჩემი მტერი. ამ მონებმა ჯერ ამერიკელების სამხედრო ორკესტრი შემოიყვანეს და ამერიკული ცამპა-ცუმპა გვესმოდა. მერე ატყდა პოლონელების, ინგლისელების და ბალტიისპირელების ცამპა-ცუმპა. ბოლოს გაახსენდათ 19 ქართველი კაპრალი, რომლებსაც ნატოს ლენტები გაუკეთეს და ეს უდიდეს მიღწევად ჩათვალეს.

***– რა ჩათვალეს მიღწევად, ნატოს ლენტები?***

– სწორედ ნატოს ლენტები ჩათვალეს საოცარ მიღწევად. იმისთვის ღვრიან ჩვენი ახალგაზრდები ავღანეთში სისხლს, რომ ნატოს ლენტები გაგვიკეთონ? თან ეს მაშინ ხდება, როცა საოკუპაციო ხაზთან ჩვენს თანამოქალაქეს კლავენ. ამ დროს ხელისუფლება გაპარული და ჩასვრილია. სიმბოლური იყო ისიც, რომ როცა თინიკო ხიდაშელი ნატოს ლენტებით ბაქიბუქობდა, მთელ დასავლეთ საქართველოს და ზუგდიდს მკლავებზე შავი, წუხილის და უპატრონობის ლენტები ეკეთა და მტრის მიერ დახვრეტილ ახალგაზრდა კაცს კრძალავდა.

***– მოდით, ისევ ივანიშვილის ეპისტოლეს დავუბრუნდეთ. თქვენ თქვით, რომ ის შანტაჟის გზით მიეჩვია ხალხთან საუბარს. როგორ გგონიათ, ამ არჩევნებზეც აიძულებს ხალხს ვინმე მიუღებელი პერსონის არჩევას?***

– ყველაფერს გააკეთებს, რომ მისთვის მისაღები კადრი აირჩიოს მოსახლეობამ. საჭირო თუ გახდა, ამ კანდიდატს ხელს მოკიდებს და ისევე ჩამოატარებს სოფელ-სოფელ, როგორც ეს მარგველაშვილის შემთხვევაში გააკეთა. მის გამო ლამის მთელი საქართველო ფეხით მოიარა, ახლა კი სადმე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გიორგი ისაკაძე „მაესტროდან“ გაუშვეს

ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემების: „ბიზნესკონტაქტის“, „საქმიანი დილისა“ და „ანალიტიკის ავტორისა და მენეჯერის გიორგი ისაკაძის განცხადებით, არხის ხელმძღვანელობის მხრიდან მასთან ხელშეკრულების გაწყვეტაზე მიღებულ გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს.



როგორც გიორგი ისაკაძემ გადაცემა „ბიზნესკონტაქტში“ სტუმრობისას განაცხადა, არხის დირექტორ ზურაბ ნაყეურის წერილის შინაარსმა კითხვები გაუჩინა და არხის ხელმძღვანელობის პოზიციაზე თავის კონტრარგუმენტებს სამართლებრივი რეაგირების გზით წარმოაჩენს.

გიორგი ისაკაძის თქმით, მისი და მისი გუნდის წევრები ხელფასების მატების თემაზე ტელეკომპანიის ხელმძღვანელობისგან მიღებულ უარს გაგებით მოეკიდნენ, რადგან ტელეკომპანია „იმედთან“ გაფორმებული ხელშეკრულება ფიქსირებულ შემოსავლებს ითვალისწინებდა. ასევე, გადაცემების „ბიზნესკონტაქტის“, „საქმიანი დილისა“ და „ანალიტიკის“ „აუთსორსზე“ გადასვლის საკითხიც 2017 წლის 15 იანვრამდე, „იმედთან“ ხელშეკრულების ამოწურვამდე გადადეს. შესაბამისად, გიორგი ისაკაძის თქმით, გაუგებარია რას გულისხმობს არხის ხელმძღვანელობა, როცა ფინანსურ და სარედაქციო იმპერატიულობასა და ხედვებში სხვაობაზე წერს.

– დღემდე მე არანაირი პრობლემა სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებით არ მიგრძნია არავის მხრიდან, შესაბამისად, ვერ მივხვდი აღნიშნული მოწერილობის მნიშვნელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სარედაქციო პოლიტიკის მართვა არის კომპანიის იმპერატიული უფლება. კიდევ ერთი, რაც ნათლად ჩანს წერილში, არის ის, რომ ჩემსა და არხის ხელმძღვანელობას შორის ხედვებში არის სხვაობა – თქვენ თვლით, რომ თქვენ უნდა იყოთ აუთსორსზე, არადა, თქვენ ჩვენი საკუთრება ხართ – ასე მიაჩნია ტელეკომპანია „მაესტროს“ და ხედვებში სხვაობის გამო გაწყდა ჩემთან ხელშეკრულება, მაშინ როცა აუთსორსით თემაც გარკვეულწილად იყო გადახარშული, მათ შორის ჩემგან კომპრომისიდან, ოღონდ ეს პროექტები გაგრძელებულიყო „მაესტროზე“, – განაცხადა გიორგი ისაკაძემ.

გიორგი ისაკაძემ აღნიშნა, რომ მისი სურვილია, მისმა ბიზნესგადაცემებმა გააგრძელოს ეთერში ყოფნა.

**მედიანიუსი**

# კვირიკაშვილი: „ნიკა გვარამიას საუბრის ასეთი გონორი არ უნდა ჰქონდეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სურვილია, სალაპარაკო ამით არავის მიეცეს. რამდენად მოხდება რაიმე ცვლილება ან არა, ამას წინასწარ ვერ გეტყვით, მაგრამ შემიძლია, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, არანაირი ცვლილების სურვილი არ მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მქონდეს წყენაც, პრეტენზიაც, რაც ადამიანურია, იმაზე, რომ ხანდახან წარმატება არ წარმოჩნდება, ხანდახან მხოლოდ უარყოფითის გაშუქება ხდება. ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა დემოკრატიისთვის და მე არანაირი პრეტენზია არ შეიძლება მქონდეს კერძო ტელევიზიის მიმართ, როგორც პრემიერ-მინისტრს, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, მისთვის კატეგორიულად მიუღებელია ის შეურაცხყოფა, რომელსაც ინსტიტუციებს რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი აყენებს.

– იმაზე აღარ ვლაპარაკობ, რას ამბობს პრემიერ-მინისტრის მისამართით. ჩვენ თავისუფალი ქვეყანა გვაქვს და ყველაფერი შეიძლება, მაგრამ, მეორე მხრივ, მოსახლეობა ამას უყურებს. ადამიანი, რომელსაც ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს საუბრის ასეთი გონორი დღეს, სამწუხაროდ ასე საუბრობს; ადამიანი, რომელიც იყო ერთ-ერთი შემოქმედი იმ ყველაფრის, რაც 2007 წელს ხდებოდა. მე ვემხრობი, რომ რუსთავი 2 დარჩეს ისეთად, როგორიც არის, ჰყავდეს დირექტორი ნიკოლოზ გვარამია. არანაირ საშიშროებას ჩვენთვის ეს არ წარმოადგენს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, – დასძინა კვირიკაშვილმა.

* * *

პრემიერის კომენტარს თითქმის მაშინვე გამოეხმაურა ნიკა გვარამია.

– კვირიკაშვილმა თავის გონორს მიხედოს, ფულით ნაყიდი რომ იყო და „ახალი მემარჯვენეების“ ფრაქციაში იჯდა. მას საერთოდ არაფერი აქვს სალაპარაკო, სამარცხვინოა. სამარცხვინოა იუსტიციის მინისტრი, რომელიც ასეთ პროცესებს მართავს, იმასაც კი ვერ უწევს კონტროლს. უკაცრავად და ახატია იუსტიციის მინისტრს, რას ფიქრობს მისი პრემიერი და სასამართლო პროცესებს მართავს თვითონ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, კვირიკაშვილმა, რომელიც ზიანდება ყოველივე ამისგან, საკუთარი გონორი უნდა გააკონტროლოს.

– არაფერს რომ არ წარმოადგენს და მის სიტყვას ჩირის ფასი რომ აქვს, თან კარგი ქლიავის ჩირის კი არა, ტყემლის, აი, ამ გონორს მოუაროს კვირიკაშვილმა, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით არარაობაა და ბიძინა ივანიშვილის ჩრდილიც კი არ არის. წულუკიანია დღეს პრემიერ-მინისტრი, თუ გაინტერესებთ და არა კვირიკაშვილი, – განაცხადა გვარამიამ.

* * *

რუსთავი 2-ის საქმის განხილვა პარასკევს, 3 ივნისს, 14:00 საათზე განახლდება.

პროცესი ქიბარ ხალვაშის მხარის მოსმენით გაგრძელდება.

რუსთავი 2-ის უფლებადამცველ ზაზა ბიბილაშვილის განცხადებით, შემდეგ პროცესზე სასამართლო მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე გადავა. ადვოკატი ვარაუდობს, რომ გადაწყვეტილების მიღება ვერც პარასკევს დანიშნულ პროცესზე მოესწრება.

– კოლეგიის სურვილია და დავალება აქვთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მორჩეს, მაგრამ, იმ ეტაპების მიხედვით, რაც გასავლელია, არა მგონია, ეს პარასკევს მოესწროს. მაგრამ, ალბათ, მოხდება ორშაბათს ან სამშაბათს, – განაცხადა ზაზა ბიბილაშვილმა.

# სუს-ის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა საქართველოსა და სლოვაკეთის პრეზიდენტებს საოკუპაციო ხაზთან არსებული ვითარება გააცნო

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და სლოვაკეთის პრეზიდენტი ანდრეი კისკა სოფელ ხურვალეთში, საოკუპაციო ხაზთან იმყოფებოდნენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ირაკლი ბერაიამ პრეზიდენტებს ადგილზე მავთულხლართებისა და ღობეების უკანონო აღმართვით გამოწვეული პრობლემები და ოკუპაციის შედეგები გააცნო.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# პაატა ჯიბლაძე: „ქართულ ოცნებას“ 2012 წელსვე უნდა გამოეძიებინა ნაციონალების დანაშაულები“

## „საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგები საპარლამენტო არჩევნებზე ვერ განმეორდება“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოება გამოთქვამს ვარაუდს, რომ საქართველოში ორპარტიულობის – „ქართული ოცნება“ – ნაცმოძრაობის დამკვიდრების მცდელობაა. ამას ხელს უწყობს ბოლოდროინდელი განცხადებებიც.

ნაციონალური მოძრაობის არაოფიციალური ლიდერი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ მთავარი ფიგურები პოლიტიკაში ის და ბიძინა ივანიშვილი არიან. ბიძინა ივანიშვილი, თავის მხრივ, დიდ ადგილს უთმობს ნაციონალურ მოძრაობაზე მსჯელობას. მემარცხენე ალიანსის პოლიტიკური მდივანი პაატა ჯიბლაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა ერთ-ერთი მთავარი სუბიექტი არ უნდა იყოს.

**პაატა ჯიბლაძე:**

– „ქართულ ოცნებას“ 2012 წელსვე უნდა დაეწყო ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩადენილი ძირითადი დანაშაულების გამოძიება, რის შემდეგაც უნდა დამდგარიყო ამ პარტიის საქმიანობის აკრძალვის ან შეზღუდვის საკითხი. მე და ჩემი თანაგუნდელები დარწმუნებული ვართ, რომ ნაციონალური მოძრაობა ისევე უნდა აიკრძალოს, როგორც აიკრძალა თავის დროზე ჰიტლერის პარტია.

სააკაშვილი ოდესაში კი არ უნდა ყელყელაობდეს და სხვებს ასწავლიდეს ჭკუას, არამედ პასუხს უნდა აგებდეს იმ სისხლიან და არაადამიანურ საქმეებზე, რომლებიც მან და მისმა გარემოცვამ ჩაიდინა. სააკაშვილი ახლა მთავარ პოლიტიკურ ფიგურებს შორის კი არ უნდა მოიაზრებოდეს, არამედ სასჯელს უნდა იხდიდეს.



***– თუმცა, სააკაშვილი აქტიურია და ორპარტიულობის დამყარების ნიშნებსაც ბევრი ხედავს.***

– 2012 წელს სხვა გარემო იყო და პარლამენტში მოხვდნენ „ქართული ოცნების“ კოალიცია და ნაცმოძრაობა. ახლა სრულიად სხვა რეალობაა და გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ საკანონმდებლო ორგანო გახდეს მრავალპარტიული. უნდა ეს ყველას თუ არა, ეს ასეც იქნება.

საქართველოში რომ 235 პარტიაა, შეიძლება ეს არ იყოს მისასალმებელი. მათგან ძალიან ბევრი ორ-სამკაციანი ქაღალდზე არსებული ორგანიზაციაა. პარტიების საქმიანობის რეგულირება კანონებით შეიძლება. მაგალითად, შეიძლება პარტიებს მოსთხოვო ხელახალი რეგისტრაცია. ამაში პრობლემა არ არის.

პრობლემა იქნება მაშინ, თუ, ორი პარტიის გარდა, ყველას შეეზღუდება საქმიანობა. პრემიერობისას ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ამ რაოდენობის პარტიები რა საჭიროაო. იმედი მაქვს, რომ მას ორპარტიულობის დამკვიდრების სურვილი არ გააჩნია. მომავალი პარლამენტი მრავალპარტიული იქნება, რაც შეესაბამება დემოკრატიის პრინციპებს. მომავალი მთავრობა უნდა გახდეს კოალიციური.

***– საკრებულოების შუალედურ არჩევნებშიც ეს ორი პარტია მონაწილეობდა.***

– ეს არჩევნები სოფელ კორცხელშიც ჩატარდა. კორცხელში გამართულ ცემა-ტყეპაში სხვებიც მონაწილეობდნენ. ეს ინციდენტი იმის მანიშნებელია, რომ ნაციონალური მოძრაობა არ ეშვება პროვოკაციებს. ნაციონალები პროვოკაციებს კიდევ მოაწყობენ.

***– ზოგი ექსპერტი აცხადებს, რომ საპარლამენტო არჩევნებზე განმეორდება ამ შუალედური არჩევნების შედეგები.***

– ამას არ ვეთანხმები. საპარლამენტო არჩევნებზე სულ სხვა სურათი დაიდება. ამ არჩევნებში ბევრი ძალა მივიღებთ მონაწილეობას. ისე, ძალიან მინდა იმათ ტვინში ჩამახედა, ვინც ამ შუალედურ არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას მისცა ხმა და გაამარჯვებინა! ნუთუ აღარ ახსოვთ, რა დღეში ჰყავდა სააკაშვილს საქართველო? როგორ ხოცავდნენ, აწამებდნენ და აუპატიურებდნენ მოქალაქეებს? როგორ ჩააბარა ტერიტორიები სააკაშვილმა რუსეთს?!

შეიძლება „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებული იყო, მაგრამ ამის გამო ხმა ნაცმოძრაობას როგორ უნდა მისცე! საერთოდ, ჩვენმა ამომრჩეველმა ვერ გაითავისა, რომ არაა მოვალე, ერთ არჩევნებში გამარჯვებულ ძალას სხვა არჩევნებშიც გაამარჯვებინოს.

***– კერძოდ?***

– 2012 წელს ხალხმა აირჩია „ქართული ოცნება“. მომდევნო არჩევნები საპრეზიდენტო იყო. არ იყო სავალდებულო, რომ პრეზიდენტიც ამ ძალის კანდიდატურა ყოფილიყო. არც ის იყო აუცილებელი, რომ საკრებულოებშიც „ქართული ოცნება“, თბილისის მერად კი დავით ნარმანია აგვერჩია.

თუ ამომრჩევლები ასეთ დროს სხვას აირჩევენ, ეს იქნება ხელისუფლების გამოფხიზლება და ხალხის ნების გამოხატვა. ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ „ქართული ოცნება“ ველარ მოვა უმრავლესობით პარლამენტში. იმედი მაქვს, რომ ნაციონალური მოძრაობის დროც დამთავრდება.

***– ბიძინა ივანიშვილი აპირებს, პარტია „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად რეგიონები მოიაროს.***

– იგი ამ პარტიის დამფუძნებელია. ასეც რომ არ იყოს, ივანიშვილი ხელისუფლებაში არაა და ამის სრული უფლება აქვს. მისი აქტიურობა გარკვეულ გავლენას იქონიებს ამომრჩეველზე. ამით „ქართული ოცნება“ გაძლიერდება, თუმცა, არა იმდენად, რომ რადიკალური ცვლილებები მოხდეს.

ალბათ „ქართულ ოცნებას“ ასეთი ტაქტიკა ექნება – ადრე კოალიციურად ვმუშაობდით, სხვები ხელს გვიშლიდნენ, ახლა უფრო შევასრულებთ დაპირებებსო. „ოცნების“ ლიდერები აქცენტს გააკეთებენ იმაზე, რომ ეს პარტია მემარცხენე ცენტრისტულია.

ცუდია, რომ ისევ მახინჯი საარჩევნო სისტემა გვაქვს. ჩვენ იმის მომხრე ვიყავით, რომ ეს არჩევნები პროპორციული და რეგიონულ-პროპორციული სისტემით ჩატარებულიყო. იხილება გერმანული მოდელი. ამასაც მხარს ვუჭერთ. გერმანული მოდელი იმას ნიშნავს, რომ პარტია მიიღებს იმდენპროცენტიან მანდატს, რამდენი პროცენტიც მიიღო. თუ „ქართულმა ოცნებამ“ არაფერი შეცვალა, მაშინ შეიძლება მომავალ პარლამენტში უმრავლესობა უსამართლოდ მოიპოვოს.

# გიგლა ბარამიძე: „ბიძინა ივანიშვილი შანტაჟზე გადავიდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რომ ჩაუვარდეს, საკუთარი ხელით დაახრჩობს. ამ წერილში ის გვპირდება, რომ არჩევნებში ჩაერთვება და სოფელ-სოფელ დაივლის ამ ქვეყანას. მერე რა ვქნათ, სხვამაც რომ არ გაამართლოს. როდემდე უნდა ვუყუროთ ამათ დაპირისპირებას.

ბევრი შეფასება მოვისმინე, მაგრამ მთავარი მომენტისთვის არავის მიუქცევია ყურადღება – მან ოფიციალურად დააფიქსირა, რომ მეორე წრეზე შემოდის ქართულ პოლიტიკაში.

***– შესაძლებელია, ისევ ხელისუფლების სათავეში ვიხილოთ?***

– არა მგონია, რაიმე თანამდებობას დათანხმდეს. ახლა სადაც არის და როგორც არის, ამაზე უკეთეს მდგომარეობას ვერ ინატრებს. ივანიშვილი ჭკვიანი კაცია და ჭკვიანურად მოაწყო ყველაფერი. მის ხელშია მთელი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება. ფინანსები საკუთარი აქვს და ქონებას ნუ დავუთვლით. ყველაფერს ეგ აკონტროლებს, მაგრამ რამე რომ მოხდეს, არაფერზე პასუხს ეგ კაცი არ აგებს.

პრემიერს როცა უნდა, მაშინ შეცვლის და რად უნდა, რომ პრემიერის პოსტზე იყო. ფარდის უკნიდან მშვენივრად მართავს პროცესებს. თან ხომ ხედავთ, გუნდის წევრები როგორ ამკობენ, ერთი ეძახის, ილია ჭავჭავაძე ხარო, მეორე ეტყვის, შოთა ხარ, რუსთაველიო. დავით აღმაშენებელიღა გვაკლია და ამიტომ გვაქვს საქმე კარგად. ამ ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტები საერთოდ არ მუშაობენ.

იმის მაგივრად, რომ ამ ინსტიტუტების გაძლიერებაზე იფიქრონ, იმავე მდინარეში გვიპირებენ შეთრევას, რომელშიც 2012 წელს ერთხელ უკვე შევედით. ახლა რომ აყვირდნენ, ნაციონალების დაბრუნება დაუშვებელიაო, ერთი მათგანი მაინც რატომ არ მოვიდა 26 მაისს რუსთაველზე. სადაც 5 წლის წინანდელი სისხლიანი ღამე გავიხსენეთ. თანაც ივანიშვილი ამბობს, რომ სისასტიკის შემდეგ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა. ჩვენ რომ არა, დღევანდელი ხელისუფლება იმ კაბინეტებში არ იჯდებოდა და სირცხვილი მათ, რომ ერთი მათგანიც კი არ მოვიდა რუსთაველზე. მხოლოდ 2 კინკილა დეპუტატი ვნახეთ იქ.

***– რატომ არ მოვიდნენ იქ ხელისუფლების წარმომადგენლები?***

– იმიტომ, რომ ხალხთან გამოსაჩენი პირი არ აქვთ. იმ ეპისტოლეში კი წერს ივანიშვილი, ესა და ეს გავაკეთეო, მაგრამ იმაზე არაფერი აქვს ნათქვამი, რა არ გააკეთა. სამართლიანობა არ აღადგინეს, ეკონომიკა ვერ გააუმჯობესეს, სისტემური დანაშაული არ აღმოფხვრეს. იმის მაგივრად, რომ ჯალათები და მკვლელები ციხეში გაეშვათ, ქვეყნის დატოვების უფლება მისცეს და თან მილიარდებიც გაატანეს.

***– ევროკავშირის ქვეყნების მთავრობაზე უფრო ეფექტურია ჩვენი მთავრობაო, ამბობს ივანიშვილი და ამაზე რას ფიქრობთ?***

– სასაცილოა ეს ყველაფერი. სხვა რომ აღარავინ აქებს, თავად დაიწყეს საკუთარი თავის ქება. რასაც ახლა ვიტყვი, მთელ „ქართულ ოცნებას“ ეხება. არის მედიცინაში ტერმინი ავტოეროტიზმი. ამით ნარცისი იყო გატაცებული. ფილოსოფიაში ეს შევიდა, როგორც ნარცისული კომპლექსი. ამათაც ნარცისიზმი შეეყარა, მაგრამ ის ოხერი ლამაზი მაინც იყო. ისეთი ლამაზი იყო, წყალში რომ ჩაიხედა, საკუთარი თავი შეუყვარდა. ესენი არც ეგეთი ლამაზები არიან და რამ შეაყვარათ საკუთარი თავი ასე! ქვეყანაში პროვინციალიზმის პარადია, ამათაც გაუვიდა და აბა ჰე. ჰგონიათ, თავს რომ „იდურაკებენ“, სხვებიც ასე შტერდებიან.

რატომ ჰგონიათ, რომ ვერ ვხვდებით იმ გეგმას, რაც მათ ნაციონალებთან დაკავშირებით აქვთ. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა თქვა, რომ მომავალ პარლამენტში მთავარი ოპოზიციური ძალა ისევ ნაციონალური მოძრაობა იქნება. ვინ ეკითხება ძიძიგურს, როგორ და რანაირად გადანაწილდება პარლამენტში კვოტები. ერთმანეთი უნდათ და სჭირდებათ. ყველაფერს გააკეთებენ, რომ ნაციონალები არ გაქრნენ. უსუფაშვილმა, როგორც კი პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში შევიდა, განაცხადა, ქართული დემოკრატიის უმთავრესი ამოცანა ნაციონალების გადარჩენააო და მეტი რაღა უნდა გვითხრას.

რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე პროცესებიც ამ მიზანს ემსახურება. სპეციალურად იქცევიან ასე უხეშად და გაუგებრად. ყველანაირად ცდილობენ ვიღაცების გამოღვიძებას, რათა ისინი რუსთავი 2-ს და ნაციონალებს დაუდგნენ გვერდით.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ტელევიზიის ხელში ჩაგდება არ უნდათ, ნაციონალები ამტკიცებენ, რომ „ოცნების“ მიზანი ტელეკომპანიის ხელში ჩაგდებაა.***

– რაში სჭირდებათ რუსთავი 2. ტელევიზიის ხელში ჩაგდებას მაშინ აქვს აზრი, თუ მის მართვას შეძლებ. ამათ კი ამის თავი არ აქვთ. ამის თავი რომ ჰქონდეთ, იმ ტელევიზიას მომართავდნენ, რომელსაც ისინი აკონტროლებენ. ყველაზე მეტად ხელისუფლებას არ უნდა ამ ტელეკომპანიის გაქრობა. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება თავის სიკრეტინესთან მარტო რჩება. მერე როგორ გაუძლებენ ისინი რეალურ ოპოზიციას? ამიტომაც დაჰქათქათებენ თავზე ნაცმოძრაობას და რუსთავი 2-ს.

ეკონომიკა

# ფერმერები სესხის სანაცვლოდ გირაოში მოსავალს ჩადებენ

საქართველოში ახალი ფინანსური ინსტრუმენტი „საწყობის ჩეკი“ შემოვა.



ფერმერი, რომელიც რამდენიმე ჰექტარ თხილს ან სხვა სახის პროდუქციას ფლობს, მოსავლის მიღების შემდეგ პროდუქციას დაასაწყობებს და საწყობის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე შეძლებს სესხის აღებას.

ამრიგად, ფერმერები მოსავალს სესხის უზრუნველყოფისთვის გამოიყენებენ და აღარ მოუწევთ საფინანსო ორგანოში სახლის ან სხვა სახის ქონების ჩადება.

საპილოტე პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პირველ ეტაპზე თხილის სექტორს წარუდგინა. ახალი მექანიზმი, სავარაუდოდ, შემოდგომიდან ამოქმედდება.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი აცხადებს, მომავალში ახალი მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა, თხილის გარდა, სხვა კულტურების მწარმოებლებსაც მიეცემათ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის განცხადებით, პირველ ეტაპზე ამ სახის თანამშრომლობისთვის მზადყოფნა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა გამოთქვეს და თუ მექანიზმი ეფექტურად ამუშავდება, დავით გალეგაშვილი ბანკების ჩართულობასაც არ გამორიცხავს.

მაღალი საპროცენტო განაკვეთი და სესხის უზრუნველყოფისთვის საჭირო უძრავი ქონების დიდი რაოდენობა – ეს ის პრობლემებია, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პირები სესხის აღებისას მუდმივად აწყდებიან.

აქედან გამომდინარე „კომერსანტი“ დაინტერესდა, რამდენად შეუწყობს ხელს ახალი პროექტი ფერმერებს ფინანსებთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში და რამდენად არიან მზად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მოსავლის ჩეკის საფუძველზე სესხები გასცენ.

ორგანიზაცია „მომავლის ფერმერის“ ხელმძღვანელი რუსუდან გიგაშვილი აცხადებს, რომ ერთი შეხედვით, პროექტმა ფერმერებს სესხის აღების პროცედურები უნდა გაუმარტივოს და დაეხმაროს მათ ამ პროცესში. თუმცა, „მომავლის ფერმერის“ წარმომადგენელი ამბობს, რომ მთავარ პრობლემას მცირე მეწარმეებისთვის მაინც სესხის მაღალი პროცენტი წარმოადგენს.

– მცირე მისოები უზრუნველყოფის გარეშეც გასცემენ სესხებს, მაგრამ მთავარი პრობლემა საპროცენტო განაკვეთია, რომელიც ძალიან მაღალია, – აცხადებს გიგაშვილი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ გენერალური დირექტორი მალხაზ ძაძუა კი აცხადებს, რომ პროექტს ჯერ არ იცნობს და გადაწყვეტილებას მასში ჩართვა-არჩართვის შესახებ მოგვიანებით მიიღებს, ანუ მას შემდეგ, რაც ნახავს, თუ პრაქტიკაში როგორ მუშაობს პროგრამა.

– ასეთი ტიპის ელემენტებს პრაქტიკაში ისედაც ვიყენებთ. მოსავალს ვიყენებთ არა უზრუნველყოფის, არამედ შემოსავლების დადასტურების სახით. როცა ვიცით, რომ ფერმერს კონკრეტული რაოდენობის შემოსავალი აქვს, ამას ვთვლით შემოსავლებში და გავცემთ სესხს, – აცხადებს მალხაზ ძაძუა.

მისივე თქმით, სესხების დიდი ნაწილი, დაახლოებით 75%, უგირავნოდ გაიცემა და უზრუნველყოფის სახით სახლის ან სხვა უძრავი ქონების ჩადება, მხოლოდ 10 ათას დოლარზე მეტ სესხებზე მოითხოვება, რაც იშვიათობას წარმოადგენს.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

# „ბურჭულაძე ხმებს ნაციონალებს წაართმევს“

## რამაზ საყვარელიძე: „წინასაარჩევნოდ კომპრომატების ომი აუცილებელია“

ნონა ცაბაძე

ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი საზოგადოებაში სერიოზული განხილვის თემად იქცა. რა მესიჯები გაუგზავნა ივანიშვილმა საზოგადოებას? რა იყო ამ წერილის ძირითადი არსი? რამდენად სწორად აფასებს ის შექმნილ ვითარებას? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აფასებს.

***– ბატონო რამაზ, ბიძინა ივანიშვილის წერილს ბევრი კრიტიკული შეფასება მოჰყვა. როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის და ფსიქოლოგის შეფასებები? რა გზავნილები ამოიკითხეთ ამ წერილში?***

– კრიტიკული შეფასებები ძირითადად პოლიტიკური ოპონენტებისგან იყო. პოლიტიკა ჭეშმარიტებას დიდად არ დაგიდევს, ეს მას სჩვევია, მთავარია, მისი პოლიტიკური მიზანი იყოს მიღწეული. ამიტომ მომეჩვენა, რომ ეს შეფასებები ცოტა უფრო საფუძვლიან არგუმენტაციას თხოულობს, ვიდრე მათ გააკეთეს.

***– მაინც რა მოგეჩვენათ უსაფუძვლო კრიტიკად?***

– მე ეკონომიკაზე ვერაფერს გეტყვით, ამის სპეციალისტი არ ვარ. დავიწყოთ იქიდან, რომ დავის საგანი გახდა მედიის თავისუფლება და ოპონენტებს მოჰყავთ არგუმენტად რუსთავი 2. მაშინ, როდესაც მედიის თავისუფლების თემაზე მიდის საუბარი, ნაციონალური მოძრაობის დროს გაცილებით მძიმე მოვლენები იყო და ყველას ახსოვს იმ მოვლენათა სიმძიმე.

***– პოლიტიკურ ოპონენტებს დევნიანო.***

– პოლიტიკური ოპონენტების დევნის ფაქტებიც გაცილებით მძიმე იყო და დღევანდელი ჩხუბი ამის არცთუ ისე დამაჯერებელი არგუმენტია. ასეთი ჩხუბები, ყველგან ხშირია, მაგრამ სახელმწიფოებრივი დევნა, რასაც ადგილი ჰქონდა ნაციონალების დროს, თან კომპრომატების შეგროვება ოპონენტებზე და ასე შემდეგ, ეს ბრალდებები ნაციონალების მიმართ დღესაც ძალაშია. „ქართული ოცნების“ მიმართ კი ამგვარი ბრალდების საფუძველი საზოგადოებრივი თვალთახედვიდან არ არსებობს. თუ რამე დამატებით იცის ამა თუ იმ ოპონენტმა, მაშინ გამოამზეუროს.






***– რა მიზანს ემსახურებოდა ეს წერილი?***

– ჩემთვის ნიშანდობლივია, რომ წერილში არ იყო ფორმულა, რომ ხმა მიეცით „ოცნებას“, დანარჩენი არავინ ვარგა. ეს არ ყოფილა და ივანიშვილს არც ერთი ოპოზიციური პარტია არ მოუხსენიებია. მან აღნიშნა მხოლოდ ერთი, რომ 9 წლიანი გამოცდილების გამო, ნაციონალური მოძრაობის მიშვება ხელისუფლების სადავეებთან დაუშვებელია. ალბათ მისი მიზანი იყო საზოგადოების გაფრთხილება ამ თემაზე.

იყო მეორე მიზანიც – მან ხაზი გაუსვა იმას, თუ რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ ამ ოთხ წელიწადში. ეკონომიკურ ნაწილზე ვერაფერს გეტყვით, ხოლო პოლიტიკურ ნაწილში, თავისუფლების კლიმატი რომ არის საქართველოში და შიში აღარ არის, მოსმენის შიში რომ აღარავის აქვს, ეს კლიმატი ნამდვილად შეიცვალა. სწორედ ეს და მასმედიის თავისუფლების ხარისხი მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია!

***– სხვა რა აქცენტებს გამოყოფდით?***

– ივანიშვილი არ ცდილობს, რომ ევროპისკენ მიმავალი გზა იავარდით მოფენილ გზად დახატოს. მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ ჩვენ მივედით ევროპული სტრუქტურების კართან, მაგრამ ვინაიდან ამ კარის გაღება მრავალ საერთაშორისო ფაქტორზეა დამოკიდებული, ველოდებით ამ კარის გაღებას. ეს რეალობა რომ გახადა ცხადი და არ დაიწყო ყალბი მოლოდინის შექმნა, ეს მისასალმებელია.

***– ბიძინა ივანიშვილი საუბრობს, რომ არ დაუშვებს ნაციონალების მობრუნებას ხელისუფლებაში. ჩვენ მოვისმინეთ შეფასებები, რომ კომპრომატების ომის კორიანტელი წამოვა წინასაარჩევნოდ. ფიქრობთ, რომ ამ გზით წავა „ოცნება“?***

– კომპრომატების ომი ჰაერიდან მოტანილი ტერმინი არ არის და ყველა ძალა, მეტ-ნაკლებად იყენებს ხოლმე ამას ნებისმიერ ქვეყანაში. ყალბი კომპრომატია ცოდვა, თორემ თუ რაიმე მაკომპრომეტებელი არის ოპონენტზე, ის უნდა გამოქვეყნდეს, რომ მოსახლეობა კარგად იცნობდეს თავის ჩრდილოვანი მხარითაც და ღია მხარითაც იმას, ვისთვისაც აპირებს ხმის მიცემას.

წინასაარჩევნოდ კომპრომატების ომი აუცილებელიც კია იმისთვის, რომ დემოკრატიული პრინციპი განხორციელდეს. საზოგადოებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაზე. ამ კომპრომატს ყველა პარტია გამოიყენებს. დაე, დაიდოს ყველა კომპრომატი, რაც კი არსებობს და მერე შეაფასოს საზოგადოებამ ამის მიხედვით საკუთარი არჩევანი.

***– ანუ ელოდებით ამ პროცესს?***

– ველოდები, არ გამოვრიცხავ და არც დიდ ცოდვად მიმაჩნია, იმიტომ, რომ ეს დემოკრატიის მოვლენაა.

***– რამე ახალს, განსაკუთრებულს, რაც ჯერ არ გვსმენია, შეიძლება ველოდოთ?***

– ალბათ ისეთი რადიკალური მოულოდნელობა, როგორიც იყო ციხის კადრები, მეეჭვება იყოს. ველოდები იმასაც, რომ კომპრომატების ომს ნაციონალური მოძრაობაც მოკიდებს ხელს და ვნახოთ, იმათ რა ფაქტები ექნებათ. ჯერჯერობით ის ფაქტები, რითაც ისინი აწარმოებენ ამ ომს, დიდად დამაჯერებელი არაა.

***– ოპონენტები ბრალს დებენ ივანიშვილს, რომ სწორედ მან გადაარჩინა ნაციონალური მოძრაობა და მომავალშიც იგივეს აპირებს.***

– უკვე დიდი ხანია არის ეს კრიტიკა და იხსენებენ ხოლმე ივანიშვილის იმდროინდელ ტერმინს, როცა ამბობდა, შუა უნდა გაიკრიფოსო. საყვედურობენ ივანიშვილს, რომ იგი ხელს უწყობს ორპოლუსიან პოლიტიკურ სპექტრს – „ქართული ოცნება“ და ნაციონალები. 2012-ში მას ნამდვილად ჰქონდა ორპოლუსიანობის ფორმულა, ეს უდავოა. ამ წერილში კი ეს არ შეინიშნება. ახლა შუა აღარ გაიკრიფება, ეს წერილი ლოიალურია მთელი ოპოზიციური სპექტრის მიმართ, ნაციონალური მოძრაობის გარდა.

***– ზვიად ძიძიგურმა ასეთი რამ განაცხადა: ისეთი პირი უჩანს, რომ ნაციონალები მომავალ პარლამენტში ისევ ჩვენი ოპონენტები იქნებიანო. რისკენ მიანიშნებდა ძიძიგური?***

– მე ვვარაუდობ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ რაღაცა ინფორმაცია მიიღო ან სოციოლოგიური, ან სხვა ტიპის, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ ნაციონალები ყველა სხვა პარტიაზე უფრო ენერგიულად ემზადებიან არჩევნებისთვის. ეს შთაბეჭდილება ისედაც რჩება. ყველაზე აქტიური მთელ პოლიტიკურ სპექტრში სწორედ ნაციონალები არიან. „ქართული ოცნებაც“ კი უფრო პასიურია. შეიძლება ამის საფუძველზეა ძიძიგურის ეს განცხადებაც გაკეთებული. და თვითონ ივანიშვილის წერილის საფუძველიც შეიძლება იგივე იყოს, სადაც ნაციონალების თემა ამდენად ხაზგასმულია.

***– რა პერსპექტივები აქვთ ნაციონალებს?***

– ნაციონალების აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან პოლიტიკაში აქტიურობას ოქროს ფასი აქვს გამარჯვებისთვის. ამიტომ ნაციონალების არსებობა დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის. მეორე მხრივ, მეეჭვება, რომ ნაციონალები აღმოჩნდნენ ძირითადი პოლიტიკური ოპონენტები.

***– რატომ?***

– ბევრი მიზეზის გამო. თვითონ ნაციონალების ელექტორატს გაუჩნდა ბევრი ალტერნატივა.

***– პაატა ბურჭულაძის პარტიას ხომ არ გულისხმობთ?***

– დიახ, მასაც. გარდა მაგისა, გირჩს ვგულისხმობ და გიორგი ვაშაძის პარტიას. ძლიერი ნაკადი შემოვიდა პაატა ბურჭულაძის პარტიის სახით, რომლის რამდენიმე პოლიტიკური აკორდი ძალიან წააგავს ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ აკორდს. ბუნებრივია, ეს მიიზიდავს ნაციონალების ელექტორატს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო მიშა მაჭავარიანის პოზიცია, რომ ნაციონალები ბურჭულაძესთან პარტნიორობაზე თანახმა იქნებიან. ნაციონალებმა დაინახეს ეს პერსპექტივა ბურჭულაძეში და მათ ურჩევნიათ, ბლოკად შეიქმნან და საერთო ამომრჩეველი ჰყავდეთ, ვიდრე გაყონ ეს ამომრჩეველი.

***– რამდენად არის ამაზე წამსვლელი ბურჭულაძე? მას ისედაც ნაციონალების სატელიტად მიიჩნევენ.***

– მაგაზე წამსვლელი ბურჭულაძე რომ ყოფილიყო, იტყოდა. უკვე საკმაო ხანი გავიდა მას მერე, რაც ამ წინადადებამ გაიჟღერა. ეს დაეტყობოდა მის ყრილობას. მას არსად უხსენებია, რომ ვინმესთან ალიანსს აპირებს. თან საკმაოდ თავდაჯერებულია, მას მიაჩნია, რომ დღეს ის უალტერნატივოა. ასეთი თავდაჯერების პირობებში პოლიტიკაში ალიანსზე არ მიდიან. ამიტომ მეეჭვება, რომ ეს ალიანსი შედგეს.

შესაბამისად, ბურჭულაძესთან აღმოჩნდება დიდი ნაწილი იმ ხმების, რომლებიც შეიძლებოდა ნაციონალებს მიეღოთ. სწორედ ბურჭულაძე შეიძლება აღმოჩნდეს ის პარტია, რომელმაც შეიძლება დაიკავოს წამყვანი ოპოზიციური ძალის საპატიო ადგილი.

# მარგველაშვილმა პარლამენტის კანონპროექტს ვეტო დაადო

## მეჭიაური: „გაუჭირდებოდა!“

შორენა მარსაგიშვილი

ექსპერტებისა და პოზიცია-ოპოზიციის მოლოდინი გამართლდა – საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში შესულ ცვლილებათა პაკეტს პრეზიდენტმა ვეტო დაადო. უშიშროების მდივნის მოადგილე ლადო ბოძაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების გასაზიარებლად ან ვეტოს დასაძლევად პარლამენტს 15-დღიანი ვადა აქვს.

ბოძაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში ის პროცედურები განმარტა, რომლებიც პრეზიდენტის ვეტოს მოჰყვება და იმ შენიშვნებზე გაამახვილა ყურადღება, რომელთა გაზიარებასაც გიორგი მარგველაშვილი პარლამენტისგან ელის.

– მთავარი შენიშვნა, რაც პრეზიდენტს აქვს, არის მაღალი კვორუმი, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ მაღალი კვორუმი ხელს უშლის საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურ ფუნქციონირებას. მეორე შენიშვნაც ასევე ეხება სასამართლოს ეფექტურ ფუნქციონირებას, რომელიც უკავშირდება კონკრეტული მოსამართლის მიერ პლენუმისთვის საქმის გადაცემას. აქაც მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს საკითხის გადაწყვეტა გადაჭარბებული კვორუმით.

პრაქტიკულად, ყველა შენიშვნა, რომელიც ჰქონდა პრეზიდენტს, ასევე კრიტიკულად შეფასდა ვენეციის კომისიის მიერ და, შესაბამისად, მოტივირებულ შენიშვნებშიც აისახა. იმედი მაქვს, რომ შენიშვნები იქნება გაზიარებული, რადგან ეს მიმართულია სასამართლოს ეფექტური მუშაობისკენ, – განაცხადა ლევან ბოძაშვილმა.

მისი თქმით, პრემიერისა და პრეზიდენტის მოტივაციაა, რომ სასამართლომ ეფექტურად იფუნქციონიროს და ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ პრობლემები არ შეექმნას.



### უმრავლესობა ვეტოს დაძლევაზე უარს ამბობს

თავის მხრივ, გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა უმრავლესობა დაეთანხმოს ვეტოში გამოთქმულ შენიშვნებს და აღარ იყოს საუბარი მის დაძლევაზე.

– ჩვენ გვქონდა ძალიან კონსტრუქციული საუბარი ბოლო დღეების განმავლობაში პრეზიდენტთან. ჩართული იყო პარლამენტის თავმჯდომარეც და დეპუტატებიც, რომლებიც უშუალოდ ამ საკითხზე მუშაობდნენ. ეს საუბარი წარმატებით დასრულდა. ჩვენ შევთანხმდით ისეთ მოდელზე, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება ვენეციის კომისიის მოთხოვნებთან და გათვალისწინებული იქნება ჩვენი შენიშვნებიც.

ვფიქრობთ, ასეთი კონსტრუქციული დიალოგის ძალიან კარგი პრეცედენტი შედგა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ უმრავლესობა დაეთანხმოს ვეტოში გამოთქმულ შენიშვნებს, აღარ იყოს საუბარი დაძლევაზე და ჩვენ, ალბათ, პირდაპირ მივიღებთ ამ შენიშვნებს. ვფიქრობ, ეს პრეცედენტი იქნება ძალიან კარგი მაგალითი მომავალში ასეთი კონსტრუქციული დიალოგისთვის, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ამ ვეტოს პარლამენტში კარგა ხანია ელოდნენ და ამიტომაც საპარლამენტო უმრავლესობა მას შეძლებისდაგვარად გაგებით მოეკიდა.

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, კარგია, როდესაც ინსტიტუციებს შორის არის ურთიერთგაგება.

– ის შენიშვნები, ვფიქრობ, გასაზიარებელია და, დიდი ალბათობით, მოხდება შეთანხმება. კარგია, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის არის ურთიერთგაგება. თუ იქნა ბოლომდე შეთანხმებული და ეს გადაწყვეტილება იქნა ბოლომდე მიყვანილი, დიდი ალბათობით, შეიძლება ვეტოს მხარი დავუჭიროთ, – განაცხადა ხუნდაძემ.

მარგველაშვილის მორიგი ვეტო თავისებურ, ორიგინალურ სტილში შეაფასა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურმა.

პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონზე ვეტოს დადებამ მას მოკლემეტრაჟიანი ფილმი გაახსენა.

– მოკლემეტრაჟიანი ფილმი მახსენდება ცხონებული იპოლიტეს მონაწილეობით. გაუჭირდებოდა. გაგიჭირდებოდათო. დაადებდა, აბა, რას იზამდა. შანსი მიეცეს და. ეს ხუმრობით, მაგრამ სერიოზულად, რა ვიცი, ვნახოთ, შეიძლება წონადი არგუმენტები აქვს და, თუ აქვს ასეთი, შეიძლება გავითვალისწინოთ და დავუჭიროთ მხარი, – განაცხადა მეჭიაურმა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი ფიქრობს, რომ, განცხადებების მიუხედავად, „ქართული ოცნება“ ვეტოს დაძლევას შეეცდება.

– ყველა ჩვენმა პარტნიორმა უარყოფითად შეაფასა ხელისუფლების მიერ შემოტანილი კანონცვლილებები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზებისა და დემოკრატიული პროცესების შეჩერებისკენ არის მიმართული. ახლა ისინი, რასაკვირველია, შეეცდებიან ვეტოს დაძლევას, თუმცა არსებობს ჰიპოტეტური იმედი იმისა, რომ კიდევ ერთხელ არ შეირცხვენენ თავს და არ აჩვენებენ ყველას, რომ ისინი არიან მობილიზებული იმისთვის, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები ჩაშალონ, – განაცხადა რატიანმა.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# აპრილის თვის ეკონომიკურმა ზრდამ 4,3% შეადგინა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მაკროეკონომიკური ინდიკატორები

გააქტიურებულია შიდა ინვესტიციები, სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტები, ფულადი გადმორიცხვები ძველ ნიშნულს უბრუნდება.

გუშინ ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მედიას აპრილის თვის ეკონომიკური მაჩვენებლები გააცნო. მინისტრმა ასევე ისაუბრა ზოგადად ეკონომიკაში არსებულ პოზიტიურ ტენდენციებზე.

დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, აპრილის თვის ეკონომიკურმა ზრდამ 4,3% შეადგინა. ამით გაგრძელდა ის პოზიტიური დინამიკა, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალ-მარტიდან დაიწყო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მაკროეკონომიკური ინდიკატორები.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, კომპონენტების მიხედვით გამოიკვეთა რამდენიმე ლიდერი სექტორი. მიმდინარე წლის აპრილში მშპ-ს მნიშვნელოვანი რეალური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სფეროებში: სამშენებლო მასალების წარმოებაში (25%), სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში (20%); მშენებლობაში (15%); საკვები პროდუქტებისა და სასმელების წარმოებაში (10%).

**დიმიტრი ქუმსიშვილი:**

– გარდა ჩამოთვლილი სექტორებისა, რა თქმა უნდა, ეკონომიკური ზრდის ძირითადი მიზეზებია ბიზნესის განწყობების ნაწილი, სადაც ძალიან პოზიტიური დინამიკა გვაქვს. შესაბამისად, ეს ასახულია კონკრეტულ ციფრებში. ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ შემცირებულია ინფლაციის მაჩვენებელი და აპრილში შეადგინა 3,2 პროცენტი. აღნიშნული პარამეტრი ისედაც მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში იყო.

ინფლაციის შემცირება ეკონომიკაში ნეგატიური მოლოდინების მინიმიზაციით არის გამოწვეული. ეს, რა თქმა უნდა, უკვე აისახება ჩვენი თანამოქალაქეების ჯიბეზე – მათ ნაკლების გადახდა უწევთ იმ პროდუქციაში, რომელსაც ყიდულობენ.

დიმიტრი ქუმსიშვილმა ასევე ისაუბრა უმუშევრობის ბოლო სტატისტიკურ მონაცემებზე. როგორც მან აღნიშნა, გასული კვირის მონაცემებით, ის 12%-ს შეადგენს, რაც კარგი მაჩვენებელია.

ვიცეპრემიერის ინფორმაციით, ასევე პოზიტიური დინამიკაა ლარის კურსთან დაკავშირებითაც – ეროვნული ვალუტის კურსი მარტის თვიდან 15%-ითაა გამყარებული, რაც 33 პუნქტს შეადგენს.

– რა თქმა უნდა, ამას აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები – თუ ავიღებთ საგარეო ვაჭრო-



ბის მონაცემების (ექსპორტ-იმპორტი) სტატისტიკას, 2016 წლის 4 თვის განმავლობაში საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი შეადგენს 1.426 მლნ აშშ დოლარს, რაც თითქმის 200 მლნ აშშ დოლარით არის გაუმჯობესებული. შესაბამისად, ამავე რაოდენობის პროპორციულად შემსუბუქდა დაწოლა ლარზე და ეროვნული ვალუტა გამყარდა, – აღნიშნა მინისტრმა.

ამასთან, წმინდა ექსპორტის მაჩვენებელი მხოლოდ 2016 წლის 3 თვის მონაცემებით გაზრდილია 15 მლნ აშშ დოლარზე მეტით. რაც შეეხება ტურისტულ შემოსავლებს, ვიზიტორების მიერ დაგენერირებული შემოსავლები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი – 4 თვეში 92 მლნ აშშ დოლარით, რაც მნიშვნელოვნად აისახა მომსახურების ექსპორტის მაჩვენებელზე.

– ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენი წლიური ეკონომიკური ზრდა, სავარაუდოდ, 3%-ზე მეტი გვექნება, რადგან ტრადიციულად, ზაფხულის თვეებში ზრდა უფრო მეტია, ვიდრე წლის დასაწყისში.

მოგეხსენებათ, ჩვენთან დაიწყო და აქტიურ ფაზაში შედის ტურისტული სეზონი, შესაბამისად, გააქტიურდება ადგილობრივი, მათ შორის სოფლის მეურნეობის წარმოებაც. ეს ყველაფერი კი დადებითად აისახება როგორც დასაქმებაზე, ასევე ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსსა და მთლიანად ჩვენი ეკონომიკის ზრდაზე, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

* * *

ვიცეპრემიერის პრესკონფერენციას ექსპერტები გამოეხმაურნენ.

ეკონომიკურ საკითხებში ექსპერტ მიხეილ დუნდუას განცხადებით, ლარმა ეკონომიკური მდგომარეობის ბუნებრივი ასახვა დაიწყო, შესაბამისად, მის უფრო მეტად გამყარებას უნდა ველოდოთ მიმდინარე პერიოდში.

მისი თქმით, როდესაც მენეჯმენტი შეიცვალა ეროვნულ ბანკში, ის პოზიტიური ცვლილებები, რომელიც წავიდა ეკონომიკაში, პირდაპირპროპორციულად აისახა ლარის კურსის გამყარებაზე.

**მიხეილ დუნდუა:**

– ეკონომიკის განვითარების კუთხით გადადგმულმა ნაბიჯებმა, მენეჯმენტის შეცვლამ



ეროვნულ ბანკში, საბოლოო ჯამში, დაასტაბილურა ლარი და მის უფრო მეტად გამყარებას უნდა ველოდოთ მიმდინარე პერიოდში.

ექსპერტის შეფასებით, რეგიონული გლობალური შოკი, რომელიც მთელმა მსოფლიომ მიიღო, საქართველომ ყველაზე ადვილად გადაიტანა და ამას საერთაშორისო ორგანიზაციები ადასტურებენ.

– ის ფაქტი, რომ ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ექსპორტი რეექსპორტის გარეშე გაზრდილია წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით, მიუთითებს იმას, რომ ყინული დაიძრა, ჩვენ უკვე ეკონომიკის გამოცოცხლებას ველოდებით.

აპრილში დაფიქსირებული 4%-ზე მაღალი მაჩვენებელი სწორად იმას მიუთითებს, რომ ეკონომიკური ზრდა უფრო ზრდადია და, შესაბამისად, წლის ბოლოს უკეთესი მაჩვენებლით დავასრულებთ. ამას ემატება EBRD-ის განცხადებაც, რომელიც აპირებს საქართველოში 400 მილიარდი ევროზე მეტი ინვესტიციის განხორციელებას, ასევე, ის პროექტები და მემორანდუმები, რომელიც გაფორმებულია. ამ მიმართულებით კვირიკაშვილის მთავრობამ კარგად იმუშავა, – აცხადებს ექსპერტი.

* * *

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ ქვეყანას აქვს იმის საშუალება, რომ წლის ბოლოსთვის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5%-ს მიუახლოვდეს.

კალანდაძე აცხადებს, რომ დაანონსებული 3%-იანი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველოს აქვს იმის საშუალება, თუ სწორი ეკონომიკური და პოლიტიკური აქცენტები გაკეთდება, წლის ბოლოსთვის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5%-ს მიუახლოვდეს და ცოტა მეტიც იყოს.

**ლევან კალანდაძე:**

– ეკონომიკური ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის ზოგადად ეკონომიკური აქტივობის მატება. ეკონომიკური აქტივო-



ბის მხრივ, მოგეხსენებათ, გაზაფხული და ზაფხული აქტიური სეზონია.

ქვეყანაში ტურისტული ნაკადების შემოდინებამ უზრუნველყო ის, რომ გარკვეული სავალუტო შემოდინებები ქვეყანაში გაიზარდა, ასევე, ფულადი გზავნილები და, რაც ყველაზე მთავარია, აქტივობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსხვილი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელიც ზოგადად უზრუნველყოფს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პოზიტიურ მაჩვენებელს.

ძალიან მნიშვნელოვანია, წლის დარჩენილი პერიოდისთვის, ხელისუფლებამ შეინარჩუნოს და კიდევ უფრო გააძლიეროს მსხვილი საინვესტიციო პროექტების წახალისებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში მშპ ზრდის მაჩვენებელი პროგნოზირებულზე გაცილებით მაღალი იყოს. ვვარაუდობ, მიუხედავად იმისა, რომ დაანონსებულია 3%-იანი ეკონომიკური ზრდა, დღეს ქვეყანას აქვს იმის საშუალება, თუ სწორი ეკონომიკური და პოლიტიკური აქცენტები გაკეთდება, რომ წლის ბოლოსთვის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5%-ს მიუახლოვდეს და ცოტა მეტიც იყოს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკაში მთელი რიგი მიმართულებით დადებითი ტენდენციები აღინიშნება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ყველანაირი წინაპირობა არსებობს იმის, რომ მიმდინარე წელს ეკონომიკური ზრდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების პროგნოზი იყო წლის დასაწყისში.

**ლაშა ხუციშვილი:**

– საქართველოს ეკონომიკაში მთელი რიგი მიმართულებით აღინიშნება დადებითი ტენდენციები. დადებითი ტენდენციებია ექსპორტში, როგორც საქონლის წმინდა ექსპორტში, რომელიც ბოლო სამი თვის განმავლობაში გაზრდილია 25 მილიონ დოლარზე მეტით, მისი მომსახურების ექსპორტში, ტურიზმის სექტორში, საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობა გაზრდილია 20%-ით, რაც ასევე ქვეყანას დამატებით შემოსავლებს აძლევს.

აღსანიშნავია, რომ გააქტიურებულია შიდა ინვესტიციები, სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტები, ფულადი გადმორიცხვები უბრუნდება ძველ ნიშნულს. საგრძნობლად არის



გაზრდილი ბიზნესის მხრიდან დადებითი მოლოდინები, რაც აისახა აპრილის თვეში ეკონომიკურ ზრდაზე, ესაა 4,3% და ლარის კურსის სტაბილურ გამყარებაზე.

ლარის კურსი ბოლო 2 თვის განმავლობაში დაახლოებით 15%-მდე გამყარდა და ყველანაირი წინაპირობა არსებობს იმისა, რომ მიმდინარე წელს ეკონომიკური ზრდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების პროგნოზი იყო წლის დასაწყისში. აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზეც. კერძოდ, დღგ-ს გადამხდელების ბრუნვა აპრილის თვეში გაზრდილია 9%-ით და მნიშვნელოვანია, რომ დღგ-ს 18%-ით დასაბეგრი ბრუნვა აპრილის თვეში გაზრდილია 13%-ით, რაც აისახა მაისის თვის საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილზეც.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დაგეგმილთან შედარებით გადაჭარბებით შესრულდება. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ბიუჯეტში მობილიზებულია 50 მილიონ ლარზე მეტი თანხა.

მისი თქმით, იმ მონაცემებით, რომლებიც დღეს ქვეყანაში არსებობს, 3%-ზე მეტი იქნება ეკონომიკური ზრდა.

– ეს ბევრ ფაქტორზეა კიდევ დამოკიდებული, მომავალში როგორ განვითარდება საქართველოს ეკონომიკა. ჩვენი მოლოდინი არის ის, რომ 3%-ზე მეტი იქნება, თუმცა ბოლო ტენდენციაც აჩვენებს, აპრილის თვის 4,3%-იანი ზრდა საკმაოდ კარგ იმედებს იძლევა, – განაცხადა ხუციშვილმა.

მისი თქმით, ლარის კურსთან მიმართებით მოლოდინია, რომ გაგრძელდება ის გამყარების ტენდენცია, რა ტემპითაც ლარი აქამდე მყარდებოდა.

– ამის თქმის საფუძველს მაძლევს ჩემ მიერ ჩამოთვლილი ის ფაქტორები, რომელიც ეხმარება ლარის კურსს გამყარებაში. ამ მიმართულებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლარის გამყარება იქნება სტაბილური გარკვეულ პერიოდზე განვრცობილი და არა მყისიერი ერთჯერადი, – განუცხადა ხუციშვილმა.

ბანკების ასოციაციის პრეზიდენტ ზურაბ გვასალიას თქმით, თუ ის ტენდენციები გაგრძელდა, რომლებსაც ხელისუფლება ახორციელებს, 5%-ზე ნაკლები ეკონომიკური ზრდა არ იქნება.

**ზურაბ გვასალია:**

– ეკონომიკური ზრდა სახეზეა. ეს ძირითადად კერძო სააღმშენებლო სექტორზე მოდის,



ასევე არის სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტები, მადნეულის მოპოვება, საკვები პროდუქტებისა და სასმელის ექსპორტი. პირველი კვარტლის წმინდა ექსპორტი, ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 15 მილიონი დოლარით არის გაზრდილი. ასევე, მნიშვნელოვანი ზრდა არის ტურისტულ შემოსავლებში, რომელიც 4 თვეში, 902 მილიონით არის გაზრდილი ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ბოლო სამი წლის განმავლობაში მაქსიმუმს მიაღწია მომსახურების ექსპორტის მაჩვენებელმა. საკმაოდ არის გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა.

ამასთან, შემცირდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, დაახლოებით 200 მილიონით, რამაც პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ლარის კურსზე. ყველა წინაპირობა სახეზეა, რომ ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება და წინ მიდის. ბუნებრივია, ეს უცებ ეფექტს ვერ მოახდენდა, რომ მოსახლეობას ეგრძნო, თუმცა პროგრესი სახეზეა. თუ ასეთი ტენდენციები გაგრძელდა 5%-ზე ნაკლები არ იქნება ეკონომიკური ზრდა.

„გალთ ენდ თაგარტის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არჩილ გაჩეჩილაძის განცხადებით, ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის გუშინდელი განცხადება ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით რეალურია.

გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ რეგიონში საქართველოს ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით ყველაზე კარგი შედეგი აქვს.

**არჩილ გაჩეჩილაძე:**

– ქვეყანაში ეკონომიკურად ძალიან კარგი ტენდენციები შეინიშნება. რეგიონულ ჭრილში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უკეთესად ვართ. სხვა ქვეყნებში არ არის ამხელა ეკონომიკური



ზრდა. ეს იმის დამსახურებაა, რომ საქართველოში რეგიონებთან შედარებით, უკეთესი სისტემები არსებობს.

რაც შეეხება პერსპექტივას, ჯამში, ველოდებით თითქმის 4%-ის ფარგლებში ზრდას ან 4%-ზე ცოტა მეტის, როგორც „გალთ ენდ თაგარტმა" რამდენიმე თვის წინ განაცხადა. ზუსტად იმ ტენდენციით მიდის პროცესი, რისი მოლოდინიც გვქონდა. რეგიონში არის სტაბილიზაცია, საქართველო განსაკუთრებით კარგად სარგებლობს ამ სტაბილიზაციით.

# ფიფა აფხაზეთის აღიარებას აპირებს?

## აფხაზეთში ფეხბურთის სათამაშოდ მანდარინები ჩავიდნენ

შორენა მარსაგიშვილი

**ოფიციალური თბილისის პროტესტის მიუხედავად, ფიფას წარმომადგენლები აფხაზეთში მაინც ჩავიდნენ, სადაც ისინი არაღიარებულთა ქვეყნების მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობას დააკვირდებიან.**

**ინფორმაცია ფიფას დელეგატების ვიზიტთან დაკავშირებით აფხაზებმა 28 მაისს გააჟღერეს. მეორე დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ თუ ფიფას წარმომადგენლები აფხაზეთში ჩავიდოდნენ, ამაზე თბილისს მკვეთრი რეაქცია ექნებოდა.**




თბილისურმა მკვეთრმა რეაქციამ ფიფამდე ან ვერ ჩააღწია, ან იმათ არ შეეშინდათ და ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები სოხუმში გუშინ, 31 მაისს, ჩავიდნენ.

ჩასვლისთანავე მათ საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს და მსოფლიოს ამცნეს, აფხაზეთი ღირსია, ფიფას წევრი იყოსო.

ეს განცხადება ფიფას ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სერგეი აზიზოვმა გააკეთა.

– აფხაზეთი სავსებით იმსახურებს იმას, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრი იყოს. მათ აქვთ თავისი ტერიტორია, აქვთ თავიანთი ენა და ჰყავთ ხელისუფლება, რაც მთავარია, აქ ძალიან უყვართ ფეხბურთი. აფხაზეთში ბევრი ლეგენდარული ფეხბურთელი გაიზარდა, – განაცხადა პრესკონფერენციაზე აზიზოვმა.

სოხუმში მყოფმა აზიზოვმა აფხაზებს მათთვის საამებელი კიდევ ერთი ინფორმაცია მიაწოდა. მისი განცხადებით, ფიფასთან აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა აფხაზებმა საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩატარება შეძლონ.

აზიზოვის კოლეგა დაგ ლარსონის განცხადებით, არაღიარებულთა მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობით აფხაზეთს მიეცა შანსი, თავი გააცნოს მსოფლიოს.

– მე ვიცი, რომ მცირე ერები და ქვეყნები ცდილობენ, მსოფლიოს გააცნონ თავი. ფეხბურთი ამის საუკეთესო საშუალებაა, – აღნიშნა ლარსონმა.

ფიფას წარმომადგენლების პრესკონფერენციას აფხაზთა ვიცეპრემიერი შამილ აძინბაც დაესწრო. მისი განცხადებით, ფიფას შემადგენლობაში აფხაზეთის გაწევრიანების საკითხი აქტიურად განიხილება.

– სამწუხაროა, რომ ორმაგი სტანდარტები სპორტის ამ სახეობასაც შეეხო. კოსოვო ფიფას წევრი ყველა წესის დარღვევით გახდა. ჩვენ უარი სწორედ ამ ნორმების მომიზეზებით გვითხრეს. უახლოეს მომავალში თუ ფიფას შემადგენლობაში არ მიგვიღებენ, ეს იქნება უსამართლობის ზეიმი, – აღნიშნავს აძინბა.

ფიფელთა აფხაზურ ვოიაჟზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საპროტესტო განცხადებას აუცილებლად მოამზადებს. აფხაზებს ეს ნაკლებად აღელვებთ, რადგან არაღიარებულთა მსოფლიოს ჩემპიონატით მაგრად ხალისობენ.

სამაგიეროდ, განრისხებულია აფხაზთა საგარეო უწყება. მათ საგანგებო განცხადება გაავრცელეს და თბილისი ხელის შეშლაში დაადანაშაულეს.

აფხაზთა საგარეო უწყების განცხადებით, თბილისის ყველა მცდელობა, ჩაშალოს არაღიარებულთა ჩემპიონატი, კრახით დასრულდება.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ამ ტურნირზე ასპარეზობს მარიო ბალოტელის ძმა, ენოკი, რომელიც პადანიის ნაკრების ღირსებას იცავს. ბალოტელიზე მეტად აფხაზებმა ვინმე შოთა აიბას გამოჩენით გაიხარეს, რომელიც იაპონიის კორეის შემადგენლობაში თამაშობდა. კი არწმუნებდნენ იმ კაცს, აფხაზი ხარო, მაგრამ იმან ბურთი ააგდო და თავი შეუშვირა, სუფთა სისხლის კორეელი ვარო.

აფხაზებისთვის სიურპრიზები ამით არ დასრულებულა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, მათი ყურადღება ჩაგოსის ნაკრების ორმა ფეხბურთელმა მიიქცია, რომელთა გვარიც აფხაზებისთვის ასე მშობლიურად ჟღერდა – მანდარინი.

ლუის და მიგელ მანდარინების წარმომავლობის გასარკვევად აფხაზურმა მედიამ ჩაგოსის ნაკრების თავკაც სერჯ ჯინ ლუისს მიაკითხა. იმან, თავის მხრივ, საგულდაგულოდ აუხსნა აფხაზებს, თუ რა ხილი იყო მანდარინი.

– მანდარინი ძალიან გავრცელებული გვარია ჩაგოსში. მანდარინი ნარინჯისფერი ციტრუსია. საიდან მოდის გვარი მანდარინი, ამის თქმა ნამდვილად გამიჭირდება, – განაცხადა სერჯ ჯინ ლუისმა.

ადგილობრივები ამ განმარტებამ არ დააკმაყოფილა. როგორც აფხაზური მედია წერს, ისინი ელოდნენ, რომ მანდარინის გვარის წარმომავლობა უფრო პოეტური იქნებოდა.

მანდარინის კულტურა აფხაზეთში ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა ლუის და მიგელ მანდარინებზე სუბტროპიკულმა ჰავამ კარგად ვერ იმოქმედა. მათმა ნაკრებმა ჯერ აფხაზებთან წააგო 9:0, შემდეგ კი დასავლეთ სომხეთის ნაკრების მიერ განადგურდა 12:0.

მომაკვდინებელ მარცხზე ჩაგოსელთა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს. მისი თქმით, მარცხის მიზეზი ისაა, რომ ჩაგოსელები მგზავრობით დაიღალნენ და აკლიმატიზაციაც ვერ გაიარეს.

❖ ❖ ❖

აფხაზები არაღიარებულთა ფავორიტ გუნდად თავიანთ ნაკრებს ასახელებენ. ფეხბურთელებისთვის საბრძოლო განწყობის ამაღლებას შეეცადა რაულ ხაჯიმბაც. აფხაზთა ლიდერმა ნაკრების წევრებს გაახსენა, რომ ამ მხარეში ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გაიზარდა. მისი თქმით, ახლა მათ უნდა დაამტკიცონ, რომ აფხაზეთი საფეხბურთო ქვეყანაა.

# სააკაშვილი კვლავ სკანდალში გაეხვია



უკრაინაში მორიგი სკანდალი დაიწყო, რომელიც ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის განცხადებებმა გამოიწვია.

25 მაისს ბრიტანულმა გაზეთმა „გარდიანმა“ გამოაქვეყნა მისი ინტერვიუ, რომელშიც გუბერნატორი კორესპონდენტ შონ უოკერთან საუბარში ამბობს, რომ უკრაინის ახალი მთავრობა უნიჭო ადამიანების გუნდს წარმოადგენს. ჟურნალისტმა ისიც აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის მიმართაც კრიტიკას იწყებს.

ასეთმა შეფასებამ უკრაინელი პოლიტიკოსებისა და მათ შორის, როგორც ამბობენ, პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ნეგატიური რეაქცია გამოიწვია.

– მოგვიანებით, აშკარაა, მიხო თავის შეცდომას მიხვდა და ნათქვამის უარყოფას შეეცადა – პირად ფეისბუქში ჩაწერა, ბრიტანული გაზეთის ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში მსგავსი რამ არ განმიცხადებიაო. ამის საპასუხოდ შონ უოკერმა აუდიოჩანაწერი წარადგინა და აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მთავრობას ნამდვილად „უნიჭო და უღიმღამო ადამიანთა გუნდად“ მიიჩნევს, – წერს უკრაინული პრესა.

**ნიუსპრესი**

# საფრანგეთის პრეზიდენტი საქართველოს ვიზის ლიბერალიზაციის პროცესში მხარდაჭერას უცხადებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს შეხვდა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები და ვიზალიბერალიზაციის პროცესში მიღწეული პროგრესი დადებითად შეაფასა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა შეხვედრისას დეტალურად ისაუბრა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ტექნიკურ საკითხებზე და ხაზი გაუსვა საქართველოს დასავლური ვექტორისთვის ვიზის ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულების პოლიტიკურ მნიშვნელობას, რაშიც ფრანსუა ოლანდმა გიორგი კვირიკაშვილს მხარდაჭერა აღუთქვა. საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე საუბარი ექნება შესაბამის სამინისტროებთან, რათა ვიზის ლიბერალიზაციის საკითხზე საფრანგეთის თანხმობა მოკლე დროში იყოს მიღებული.

საუბარი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობასაც შეეხო.



შეხვედრისას საფრანგეთის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავი მიულოცა.

**ნიუსპრესი**

# ნინო ბურჯანაძე: „ქართული ოცნება“ პოლიტიკური პარტიების დაყაჩაღების გზით მიდის“

დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ კანონპროექტზე, რომლის მიხედვითაც ხუთის ნაცვლად თერთმეტ პოლიტიკურ ძალას გადაუნაწილდება უფასო სარეკლამო დრო, კომენტარი გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, რეალურად „ქართული ოცნება“ პოლიტიკური პარტიების დაყაჩაღების გზით მიდის.

– გადაწყვეტილება თუ იქნა მიღებული, რომლის კომიტეტის სხდომაზე განხილვისა და მოწონების მომსწრენიც დღეს გავხდით, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვპარავენ იმ დროს, რომელიც ხალხმა მოგვცა და არა „ქართულმა ოცნებამ“. მინდა აღშფოთება გამოვხატო იმასთან დაკავშირებით, რომ ბიძინა ივანიშვილმა და მისმა პარტიამ ის არ გვაკმარა, რომ რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ დაგვაჯინა თავზე ოთხი წლის განმავლობაში, ახლა რესპუბლიკელების და პირადად ბატონი ვახტანგ ხმალაძის ინიციატივით განხილული იქნა კანონპროექტი, რომელიც არის არაკონსტიტუციური, რომელიც არის უბრალოდ პოლიტიკური პარტიების უფლებებისა და ადამიანის უფლებების შემლახველი, რაც გამოიხატება იმით, რომ ჩვენ, პარტიებმა, რომლებმაც გადავლახეთ ბარიერი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, ხალხის მხარდაჭერით მივიღეთ უფასო სარეკლამო დრო. უნდათ, ეს დრო წაგვართვან და ხმალაძეს, „რესპუბლიკელებს“, „თავისუფალ დემოკრატებსა“ და იმ პარტიებს გადაუნაწილონ, რომლებიც „ოცნებამ“ პარლამენტში შეიყვანა. არაფერი არ გააკეთეს ამ ოთხი წლის განმავლობაში ხალხის ნების შესასრულებლად და ახლა უკვე ჩვენს ხარჯზე უნდათ, უფასო სარეკლამო დრო მიიღონ, – განაცხადა ბურჯანაძემ.



ამასთან, როგორც პარტიის ლიდერი აცხადებს, ამ ყველაფერს ისინი აუცილებლად გააპროტესტებენ.

**ნიუსპრესი**

# მამუკა კაციტაძე: „საარჩევნო სისტემის ე.წ. გერმანული მოდელი აბსოლუტურად კონსტიტუციურია“

პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე მიიჩნევს, რომ საარჩევნო სისტემის ე.წ. გერმანული მოდელი აბსოლუტურად კონსტიტუციურია.

როგორც კაციტაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განმარტა, ე.წ. გერმანული მოდელი უზრუნველყოფს მიღებული ხმებისა და მანდატების თანაბრობას.

მემარჯვენეების ლიდერი ყველას ურჩევს, ვისაც კანონთან თუ კანონპროექტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით კითხვები აქვს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს.

– ჩვენ შეგნებულად გავყავით პროცედურა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. არის ცალკე ინიციატივა გერმანულ მოდელთან და სხვა დანარჩენ საკითხთან დაკავშირებით, რაც ჩვენ წარვადგინეთ „ქართულ ოცნებასთან“ მოლაპარაკებების პროცესში, ეს არის უკვე სხვა ინიციატივა. ჩვენ ორივე საკითხზე გვაინტერესებს მათი პოზიცია, გვაინტერესებს, ჩვენს წინადადებებზე, გარდა საარჩევნო ფორმატისა, რა პოზიცია ექნება „ქართულ ოცნებას“. რაც შეეხება გერმანული მოდელის კონსტიტუციურობას, ამაზე ცალსახა პასუხი მაქვს, რომ გერმანული მოდელი კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ მოდის, – განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

**მედიანიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ჩადის ექსდიქტატორს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს





სენეგალის ტრიბუნალის წინაშე ჩადის ექსდიქტატორი ჰისენ ჰაბრე წარდგა. მას ბრალი მასობრივ მკვლელობებსა და წამებაში დასდეს.

ჰისენ ჰაბრე 1942 წელს უბრალო მწყემსის ოჯახში დაიბადა. ბავშვობიდან ნიჭიერებით გამოირჩეოდა, ამიტომაც საფრანგეთის კოლონიური ადმინისტრაციის დახმარებით სასწავლებლად პარიზში გაგზავნეს. ჰაბრემ იურიდიული განათლება საფრანგეთში მიიღო, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ჩაება.

ჩადმა დამოუკიდებლობა მართლაც მოიპოვა, თუმცა ამას მშვიდობის დამყარება არ მოჰყოლია. ქვეყანაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ჩადის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც მუსლიმანებითაა დასახლებული, ქრისტიანულ სამხრეთს დაუპირისპირდა.

1979 წელს ხელისუფლებაში მოდის გუკუნი უედეი, რომლის მთავრობაშიც ჰაბრეს თავდაცვის მინისტრის პოსტი ერგო. მალე უედეისა და ჰაბრეს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო. უედეიმ დახმარებისთვის მიმართა ლიბიას, რომლის უკანაც მაშინ საბჭოთა კავშირი იდგა. მუამარ კადაფიმ, რომელიც იმხანად ლიბიის დიქტატორი იყო, უედეის თხოვნა დააკმაყოფილა და ჩადში ჯარი შეიყვანა. ლიბიელთა დახმარებით უედეიმ ჰაბრე დაამარცხა და ქვეყანაში სისხლის ტბა დააყენა.

ჰაბრე სიკვდილს სასწაულით გადაურჩა. ის ჯერ კამერუნში, შემდეგ სუდანში გაიქცა. საფრანგეთმა ჰაბრე და მისი მომხრეები შეაიარაღა. მალე ჰაბრეს არმია ჩადში შეიჭრა. 1982 წელს მან დედაქალაქი ნჯამენა დაიკავა.

ამის შემდეგ ჰაბრემ თავი პრეზიდენტად გამოაცხადა, თუმცა ომი არ იყო დამთავრებული. გუკუნი უედეი თავის მომხრეებთან ერთად წინააღმდეგობას განაგრძობდა. მას კადაფიც ეხმარებოდა.

საბოლოოდ ჰაბრემ გაიმარჯვა, რადგან სისასტიკეში უედეისა და კადაფისაც ბევრად გადააჭარბა, ის ყველა ოპონენტს ფიზიკურად გაუსწორდა, მათი განადგურების შემდეგ კი უკვე მომხრეთა რიგების წმენდა დაიწყო.

1990 წელს მორიგი გადატრიალება მოხდა. ჰისენ ჰაბრე დაამხეს.

დამხობილი დიქტატორი სენეგალში გაიქცა, თან მთელი სახელმწიფო ხაზინაც წაიღო. ჩადის მთავრობა მის გადაცემას წლების მანძილზე ამაოდ მოითხოვდა.

2013 წელს სენეგალში მყოფი ჰაბრე დააპატიმრეს. დაიწყო სასამართლო პროცესი, თუმცა საბოლოო განაჩენი მხოლოდ 2016 წლის 30 მაისს გამოიტანეს. ექსდიქტატორი მხილებულ იქნა 40.000 ადამიანის მკვლელობაში. დამტკიცდა ისიც, რომ ტყვეებს პირადად აწამებდა და ზოგი მათგანი გააუპატიურა კიდეც.

ჰაბრეს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

## ტურჩინოვი: „დონბასში შესაძლოა ომი განახლდეს“



უკრაინის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტურჩიმოვმა განაცხადა, რომ დონბასში რუსული პროვოკაციები ძლიერდება. უკრაინელი ჯარისკაცების პოზიციებს ყოველდღე ბომბავენ. აშკარაა, რომ მზადდება შეტევა. რუსებს სურთ ყირიმისკენ დერეფნის გაჭრა. ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლების საფრთხე რეალურია.

– მოვუწოდებთ დასავლეთს, აღმოუჩინოს უკრაინას სამხედრო და ტექნიკური დახმარება. რუსული არმიის შეკავება მხოლოდ კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილ უკრაინულ არმიას შეუძლია, – განაცხადა ტურჩინოვმა.

## შტაინმაიერი: „გერმანია ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს“



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ გერმანია ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს. მან უკრაინაში შექმნილ მდგომარეობაზე დაწვრილებით ისაუბრა და ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანია რუსეთთან დიალოგით დაინტერესებულია.

– ჩვენ სულაც არ გვსურს არც რუსეთის დაჩოქება, არც მისი ეკონომიურად დასუსტება. რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები ამ ქვეყნის აგრესიული პოლიტიკითაა განპირობებული. არსებობს სიტუაცია, როცა თვალის დახუჭვა უკვე აღარ შეიძლება, – თქვა შტაინმაიერმა.

მინისტრმა განაცხადა, რომ არ გამორიცხავს დონბასში პროგრესის შემთხვევაში რუსეთის მიმართ სანქციების შემცირებას, შემდეგ კი გაუქმებას. შტაინმაიერმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ამისი საფუძველი არ არის.

– რუსეთი მინსკის შეთანხმებებს არ იცავს. პუტინის მოქმედებით იმედგაცრუებული ვარ, – თქვა შტაინმაიერმა.

## თეთრ სახლთან საეჭვო პაკეტი აღმოაჩინეს




უშიშროების სამსახურმა თეთრ სახლთან საეჭვო პაკეტი აღმოაჩინა. კამერებმა დააფიქსირეს ქალი, რომელმაც აღნიშნული პაკეტი თეთრი სახლის მახლობელ ტერიტორიაზე დააგდო.

თეთრი სახლი და მახლობელი ტერიტორია წამში იქნა ბლოკირებული.

დაცვამ დააკავა უცნობი პიროვნება, რომელიც ამჟამად წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. მისი ვინაობა არ ხმაურდება.

## სტოლტენბერგი: „პოლონეთში ნატოს ჯარების კონტინგენტი გაიზრდება“




ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი პოლონეთის პრეზიდენტ ანჟეი დუდას შეხვდა.

სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ პოლონეთში, ისევე, როგორც ბალტიისპირეთში, ნატოს კონტინგენტი გაიზრდება.

– რუსეთის აგრესიის საფრთხე დიდია. ამის რეაგირების გარეშე დატოვება შეუძლებელია, – თქვა სტოლტენბერგმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## პოლონეთი „გაზპრომთან“ კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს

პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლის ენერგეტიკის საკითხებში პეტრე ნაიმსკის განცხადებით, ქვეყანა რუსეთთან ხანგრძლივი კონტრაქტის გაგრძელებას არ გეგმავს.

ამის შესახებ ნაიმსკიმ როიტერს განუცხადა.

– ჩვენ მხედველობაში გვაქვს ვითარება, როდესაც ხანგრძლივი კონტრაქტები წარსულს ჩაბარდა. თუ რუსული გაზის საფასური კონკურენტუნარიანი იქნება, არ გამოვრიცხავთ, რომ მას შევიძენთ, მაგრამ არა ხანგრძლივი კონტრაქტის საფუძველზე, – განაცხადა პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა.

ცნობისთვის, პოლონეთსა და „გაზპრომს“ შორის ხანგრძლივი კონტრაქტი 1996 წელს გაფორმდა და მისი მოქმედების ვადა 2022 წელს იწურება.

ყოველწლიურად პოლონური სახელმწიფო კომპანია რუსეთისგან 10,2 მილიარდ კბ/მ გაზს ყიდულობს, რაც წლიური მოხმარების 2/3 შეადგენს.

პოლონეთი რუსული გაზისგან დამოკიდებულების შემცირებას ცდილობს, რისთვისაც ქვეყანაში თხევადი გაზის ტერმინალი აშენდა.

გარდა ამისა, პოლონეთი გეგმავს დანიიდან ჩრდილოეთ ზღვამდე ნავთობსადენის გაყვანას, რათა გაზი ნორვეგიიდან მიიღოს. პროექტის რეალიზება 2022 წლისთვის იგეგმება, რაც პოლონეთს წელიწადში 10 მილიარდი კბ/მ იმპორტის შესაძლებლობას მისცემს.

პროექტის ღირებულება ჯერჯერობით უცნობია.

**მედიანიუსი**

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# მშვილდოსან ქალთა ნაკრების ევროპული ვერცხლი



საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც რიოს ოლიმპიადის ლიცენზიანტები – ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა და იულია ლობჟანიძე გამოდიოდნენ, ოლიმპიურ 70-მეტრიან დისტანციაზე ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ვერცხლი მოიპოვა.

ნოტინგემში გამართული შეჯიბრების სტარტზე ქართულმა სამეულმა ბელარუს მშვილდოსნებს ანგარიშით 5:4 აჯობა, შემდეგ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა თურქეთის ნაკრები, ნახევარფინალში კი მასპინძელ დიდ ბრიტანეთს 5:3 მოუგო. გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველები ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტებს – უკრაინელებს (ანასტასია პავლოვა, ვერონიკა მარჩენკო და ლიდია სიჩენიკოვა) დაუპირისპირდნენ და 0:6 წააგეს.

ევროპული ვერცხლი მნიშვნელოვანი შედეგია, თანაც ოლიმპიურ დისციპლინაში ჩვენებმა ასეთ წარმატებას პირველად მიაღწიეს. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა მშვილდოსანმა ქალებმა წლეულს, მარტში ანკარაში გამართულ მსოფლიოს ზამთრის გუნდურ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

შარშან ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა, პირად შეჯიბრებაში ასევე მეორე იყო ხათუნა ნარიმანიძე. მოგვიანებით, ხათუნა ნარიმანიძისა და ლაშა ფხაკაძის წყვილმა ქართულ დელეგაციას პირველი ევროპული თამაშების პირველი მედალი (ვერცხლი) მოუტანა. ამას მოჰყვა დანიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება, როცა ჩვენმა მშვილდოსანმა ქალებმა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გუნდური ლიცენზია მოიპოვეს.

# ჩემპიონთა ლიგის სიმბოლური ნაკრები




დასრულდა ჩემპიონთა ლიგა და უეფას ექსპერტთა ჯგუფმა, რომელთა შორის სერ ალექს ფერგიუსონი, სავო მილოშევიჩი, ტომას შააფი, დევიდ მოიესი და მირჩა ლუჩესკუც იყვნენ, ჩემპიონთა ლიგის 2015-16 წლების სეზონის სიმბოლური ნაკრები შეადგინა.

სიმბოლურ გუნდში 18 ფეხბურთელი შეიყვანეს. რჩეულთა შორის 6-6 ფეხბურთელი ტურნირის ფინალისტი გუნდებიდან – ატლეტიკოდან და რეალიდან მოხვდა. 3 ფეხბურთელი ბარსელონადანაა წარმოდგენილი, 2 – ბაიერნიდან და ერთიც პსჟ-იდან.

**მეკარეები:** იან ობლაკი (ატლეტიკო), მანუელ ნოიერი (ბაიერნი);

**მცველები**: დიეგო გოდინი (ატლეტიკო), ხუანფრანი (ატლეტიკო), ტიაგო სილვა (პსჟ), სერხიო რამოსი (რეალი), მარსელო (რეალი);

**ნახევარმცველები**: გაბი (ატლეტიკო), კოკე (ატლეტიკო), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ტონი კროოსი (რეალი), ლუკა მოდრიჩი (რეალი);

**თავდამსხმელები**: ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო), ლუის სუარესი (ბარსელონა), ლიონელ მესი (ბარსელონა), რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი), კრიშტიანო რონალდო (რეალი), გარეთ ბეილი (რეალი).

# საქართველოს ნაკრები რუმინეთთან სათამაშოდ ემზადება



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები რუმინეთთან ამხანაგური მატჩისთვის მზადებას ავსტრიაში განაგრძობს.

ეროვნულ ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს გიორგი ჭანტურია, რომელიც ნაკრებს მეორე ბუნდესლიგის პლეი ოფის მატჩების გამო გვიან შეუერთდა. გეტყვით იმასაც, რომ ჭანტურიამ გერმანული კლუბი უკვე დატოვა და ახალი გუნდის ძიებაშია.

ავსტრიაში ეროვნულ ნაკრებს კიდევ ერთი ლეგიონერი გიორგი აბურჯანია ესპანეთიდან შეუერთდა. ფეხბურთელმა სლოვაკეთთან მატჩი და საწვრთნელი შეკრების პირველი ეტაპი სეგუნდა დივიზიონის მატჩების გამო გამოტოვა.

საქართველოს ეროვნული ნაკრები რუმინეთში დღეს გაემგზავრება. ბუქარესტის ეროვნულ სტადიონზე დაგეგმილი ამხანაგური მატჩი რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის კი 3 ივნისს შედგება.

ჩვენმა ნაკრებმა 27 მაისს ამხანაგური მატჩი 1:3 წააგო სლოვაკეთთან, ხოლო რუმინეთი საქართველოსთან მატჩამდე ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში 29 მაისს, იტალიის ქალაქ ტურინში უკრაინასთან 3:4 დამარცხდა.

# 18 წლამდე ნაკრები უკრაინელებთან სათამაშოდ ემზადება



საქართველოს 18-წლამდე ნაკრებმა 2 და 4 ივნისს უკრაინასთან დაგეგმილი ამხანაგური მატჩებისთვის მზადება დაიწყო.

გიორგი ყიფიანმა გუნდი სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ ბასაზე შეკრიბა. მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში 25 ფეხბურთელია:

**მეკარეები:** ლუკა გუგეშაშვილი (იაგელონია, პოლონეთი), ლევან ისიანი (დინამო თბ), დავით კერესელიძე (ცხინვალი);

**მცველები**: ლუკა ლაკვეხელიანი, თომა ხუბაშვილი, ნიკა მალი, გიორგი ქოჩორაშვილი (საბურთალო), ლუკა ლოჩოშვილი, დავით კიკალიშვილი, დავით კობოური (ყველა დინამო თბ), აკაკი ნინუა (სამტრედია);

**ნახევარმცველები**: თემურ ჩოგაძე, გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), დავით სამურკასოვი, ლუკა ფიფია, რატი არდაზიშვილი (ლოკომოტივი), ლუკა ფოჩხუა (დინამო თბ), ნიკა კვანტალიანი (დინამო ბთ), გაბრიელ საღრიშვილი (ტორპედო), გიორგი შეროზია (ზუგდიდი);

**თავდამსხმელები**: ბექა ქავთარაძე (35-ე სკოლა), გიორგი მუზაშვილი (ცხინვალი), ლუკა ქაფიანიძე (დინამო თბ), ირაკლი ბუღრიძე (ლოკომოტივი), ზაურ ხაბეიშვილი (სამტრედია).

მატჩები მიხეილ მესხის სტადიონზე გაიმართება და 18 საათზე დაიწყება.

# რუმენიგე: „ლევანდოვსკი არ იყიდება“



მიუნხენის ბაიერნის პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ, შესაძლოა, კლუბთან კონტრაქტი კიდევ 2 წლით გაახანგრძლივოს.

ლევანდოვსკის მიუნხენელებთან მოქმედი კონტრაქტი 2019 წელს ეწურება და როგორც გერმანული მედია იტყობინება, ბავარიული კლუბის ხელმძღვანელობამ პოლონელს ახალი 2-წლიანი კონტრაქტი უკვე შესთავაზა.

ახალი კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელი ხელფასის სახით წელიწადში 15 მილიონ ევროს მიიღებს. სადღეისოდ, ლევანდოვსკის ხელფასი წელიწადში 9 მილიონი ევროა.

ბავარიელთა სპორტულმა დირექტორმა, კარლ ჰაინც რუმენიგემ რობერტ ლევანდოვსკის რეალში შესაძლო გადაბარგებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა:

– დანამდვილებით გეუბნებით, რობერტ ლევანდოვსკი მომდევნო სეზონში ბაიერნის ღირსებას დაიცავს, ხოლო რა მოხდება შემდეგ, არავინ იცის. მადრიდის რეალი? ვადასტურებ, პოლონელის აგენტი დაგვიკავშირდა და მადრიდულ კლუბზე გვესაუბრა, მაგრამ...

# ჯონი მელიქიანი: „თბილისს არ მოსწონს, რუსეთთან კარგად რომ ვართ“

**სომხური გამოცემა „Голос Армении“ აქვეყნებს ინტერვიუს სომხეთის სახელმწიფო მმართველობის აკადემიის რეგიონული კვლევების ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთან, საქართველოს საკითხებში ექსპერტ ჯონი მელიქიანთან.**

**მელიქიანი კორესპონდენტ ზარა გევორქიანს სომხურ-ქართული ურთიერთდამოკიდებულების შუქ-ჩრდილებზე ესაუბრება.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან:**



***– როგორ შეაფასებდით ჩვენს ურთიერთობებს საქართველოსთან ამ ეტაპზე? კერძოდ, საქართველოს რეაქციას აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის წინააღმდეგ მომხდარი ოთხდღიანი ომის ფონზე?***

– 2008 წლის აგვისტოში მომხდარი რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ ქართველები ცოტა დამშვიდდნენ, მაგრამ აპრილის დასაწყისში დაწყებულმა ყარაბაღის ამბებმა თბილისი ისევ შეაშფოთა. აშკარად ჩანდა საქართველოს დაძაბული მდგომარეობა: ქართველებს არ სურდათ რეგიონში კონფლიქტის გამწვავება. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ საქართველო და ირანი ის რეგიონული ქვეყნები არიან, რომლებიც არანაირად არ არიან დაინტერესებული სამხრეთ კავკასიაში სამხედრო კონფლიქტის განვითარებით.

საქართველო კარგად აცნობიერებს, რომ მის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი სომხური და აზერბაიჯანული დიასპორა ცხოვრობს (ჯავახეთსა და ქვემო ქართლში). ამ ფაქტორის გათვალისწინებით, საქართველო შიშობდა, რომ კონფლიქტი რაღაც ფორმით მის ტერიტორიაზეც გადავიდოდა, რაც მის ეროვნულ უსაფრთხოებას დაემუქრებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველომ ჩათვალა, რომ უკეთესი იქნებოდა, ასე ვთქვათ, „პოზიტიური ნეიტრალიტეტი“ დაეცვა: კონფლიქტის პირველივე დღეებში თბილისმა განცხადება გააკეთა, რომ მხარეები მოლაპარაკების მაგიდას დაბრუნებოდნენ, შემდეგ პრემიერ-მინისტრმა (გიორგი კვირიკაშვილმა) ორჯერ ჩაატარა თათბირი, რომლის დროსაც ყარაბაღის ირგვლივ განვითარებული პროცესები განიხილეს. ქართველ თავდაცვის მინისტრსაც ხშირი კონტაქტები ჰქონდა თავის სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან... გაკეთდა განცხადებები, რომ თუ პოლიტიკურად მიზანშეწონილი იქნებოდა, სამშვიდობო მოლაპარაკებები საქართველოს ტერიტორიაზე გამართულიყო. რასაკვირველია, ქართველები კარგად იცოდნენ, რომ მათი წინადადება არარეალური იყო და არ განხორციელდებოდა, მაგრამ თვით ასეთი შეთავაზება იმას მოწმობს, რომ საქართველოს რეგიონში მეზობლებს შორის ურთიერთობების გამწვავება უკიდურესად არ აწყობს.

***– მაგრამ ამჟამად ხომ საქართველოში თურქეთ-აზერბაიჯანის ფაქტორი დომინირებს?***

– გეთანხმებით, (თურქეთ-აზერბაიჯანის გავლენა) საკმაოდ ძლიერია, მაგრამ არცთუ ისე ერთმნიშვნელოვანი, რადგან არსებობს მისი შემკავებელი ფაქტორებიც, რომლებითაც თვითონ ქართველები სარგებლობენ. როცა ჩვენ ვსაუბრობთ აზერბაიჯანულ-თურქული ტანდემის გავლენაზე საქართველოში, ეს უპირველესად ეკონომიკის, ენერგეტიკის სფეროს ეხება. ჩვენ გვახსოვს, რომ თბილისი ენერგოუზრუნველყოფის დივერსიფიცირებას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ – აზერბაიჯანის ნავთობკომპანია „სოკარი“ ქართულ ბაზარზე კვლავ მონოპოლისტად რჩება. ამის მიუხედავად, აშკარაა, რომ ყველაფერს თავისი ლიმიტი

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა იწვევს ქოშინს



ქოშინი დაკავშირებულია ჰიპოქსიასთან – ჟანგბადის დაბალ შემცველობასთან ორგანიზმში, სისხლში, რაც იწვევს სასუნთქი ცენტრის გაღიზიანებას თავის ტვინში, რისც შედეგადაც უნებლიედ ხშირდება სუნთქვა და ვითარდება ჰაერის უკმარისობა.

გამოყოფენ ქოშინის 3 სახეს: ინსპირტორული ქოშინი (გაძნელებულია შესუნთქვა) – უფრო მეტდა დამახასიათებელია გულის დაავადებებისთვის; ექსპირატორული (გაძნელებულია ამოსუნთქვა), – ხშირად ხდება ბრონქული ასთმის დროს; შერეული ქოშინი (გაძნელებული შესუნთქვაც და ამოსუნთქვაც) – დამახასიათებელია სხვადასხვა განსხვავებული ავდმყოფობებისთვის.

ქოშინთან ანუ დისპნოესთნ ბრძოლის მთავარი მეთოდი არის, იმ დაავადების მკურნალობა, რომლის გამოვლინებაცაა ჰაერის უკმარისობა. ქოშინის შემცირების ერთ ერთი მეთოდია ჟანგბადით თერაპია

❖ ❖ ❖

ქოშინის მიზეზების დასადგენად, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ როგორ განვითარდა იგი. ეს შეიძლება მოხდეს მწვავედ – წუთის, საათის, რამდენიმე დღის განმავლობაში ან თანდათანობით – რამდენიმე კვირის, თვის ან წლის განმავლობაში.

ფიზიოლოგიური ქოშინი ვლინდება მას შემდეგ, როდესაც მუშაობაში ჩართული კუნთები მოიხმარენ ჟანგბადს. ტვინი ცდილობს, დაფაროს შექმნილი ჟანგბადის დეფიციტი, რის გამოც სუნთქვა ხშირდება. ასეთი ქოშინი არ არის სახიფათო.

ძლიერი მღელვარება, განგაში, სიბრაზე, შიში ხელს უწყობს ადრენალინის გამოყოფას. ხვდება რა სისხლში, ადრენალინი აიძულებს ორგანიზმს ფილტვებში გაუშვას ბევრი ჟანგბადი და ამით მოახდინოს ჰიპერვენტილაციის პროვოცირება. ამიტომ ძლიერი განცდების დროს ძლიერდება გულის რითმი და ვლინდება ქოშინი (დისპნეა).

რა ვქნათ? ასეთი ძლიერი ემოციებით გამოწვეული ჰაერის უკმარისობა პრინციპში უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის. მაგრამ, სერიოზული პანიკური შეტევების დროს სჯობს მიმართოთ ექიმს, პანიკის დროს აღძრული ძლიერმა ქოშინმა შეიძლება მიუთითოს ავადმყოფობის არსებობაზე, მაგალითად ვეგეტო-სისხლძარღვოვან დისტონიაზე.

ყველაზე გავრცელებული რკინადეფიციტური ანემიით გამოწვეული ქოშინია. რკინის იონები აჯერებენ სისხლს ჟანგბადით, თამაშობენ დიდ როლს სისხლწარმოქმნის პროცესებში. მათი ნაკლებობის დროს, ვითარდება ჰიპოქსია და ერთვება გადაუდებელი დაცვითი მექანიზმი – ქოშინი.

ასეთი მდგომარეობები ძირითადად დამახასიათებელია ქალებისთვის, თუმცა კაცებსაც ხშირად უვითრდებათ რკინის უკმარისობა ორგანიზმში. ანემიის დიაგნოზი ისმება სისხლის კლინიკური ანალიზის საფუძველზე.

რა უნდა გავაკეთოთ ანემიის და ამასთან ქოშინის თავიდან ასაცილებლად. ჰემოგლობინის მნიშვნელოვნად დაქვეითების შემთხვევაში, მიიღეთ რკინის შემცველი პრეპარატები. მათი მიღება აუცილებელია მინიმუმ 2 თვის განმავლობაში.

რკინა კარგად ივსება ღვიძლიდან და წითელი ხორცისგან, ხოლო მცენარეული საკვებიდან, მაგალითად წიწიბურიდან, ბროწეულიდან



მკურნალი მცენარე

# ნივრის ჯადოსნური თვისებები

ნიორი საუკეთესო ბუნებრივი იმუნომოდულატორი. დღეში მირთმეული რამდენიმე კბილი ნიორი შესანიშნავ შედეგს მოგიტანთ.

თუ გაცივდით, ისუნთქეთ ნიორი. მას დაახლოებით 20 სანტიმეტრის მანძილზე თქვენს ორგანიზმში მოხვედრილი ვირუსებისა და მიკრობების, დაავადების გამომწვევი ყველა ბაქტერიის განადგურება შეუძლია. ამასთან ტოქსიკურ მოქმედებასაც არ ახდენს.



დაავადების საწყის ეტაპზე დასამარცხებლად, ხველისა და პნევმონიის განსაკურნად, უნდა მოამზადოთ ასეთი ნაყენი: ერთი ჭიქა რძე დაასხით წვრილად დაჭრილ 4 კბილ ნიორს. რძე ადუღებამდე მიიყვანეთ, გაწურეთ და გემოვნების მიხედვით დაუმატეთ თაფლი ან კარაქი. ეს ნაყენი დღეში 3-4-ჯერ, ცხლად, პატარა ყლუპებით დალიეთ.

მავნებელი ნივთიერებებისგან გასათავისუფლებლად, როგორიცაა ტყვია, ვერცხლისწყალი, კადმიუმი ერთი კბილი ნიორის მირთმევაც საკმარისია. ბუნების ამ საჩუქარს სისხლძარღვების გაწმენდისა და ათეროსკლეროზის განვითარებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარიც აქვს. სამი თვის განმავლობაში ნიორის გამოყენებით ქოლესტერინის 20%-ის გაქრობა შეიძლება.

ნიორი მიკროელემენტებისა და ვიტამინების მდიდარი შემადგენლობის წყალობით, პოლივიტამინების საუკეთესო ბუნებრივი კომპლექსია. მასში შედის უიშვიათესი ნივთიერებები, მაგალითად, გერმანიუმი და გოგირდი.

სისხლში ტრომბების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად და ვენების გასამაგრებლად, სასარგებლო იქნება ასეთი წამლის მიღება: 250 გრამი ნიორი დააქუცმაცეთ და მიღებულ მასას დაასხით 350 გრამი ახალი თაფლი. კარგად აურიეთ და 7 დღის განმავლობაში ბნელ ადგილას დადეთ.

ნივთიერება ადენოზის წყალობით, სისხლში ტრომბოციტების რაოდენობა ნორმალიზდება, სისხლი კი არ დედდება. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ჰემოროით, ტრომბოფლებიტით, ვარიკოზებით დაავადებული ადამიანებისთვის, ასევე ქალბატონებისთვის, ვინც ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს იღებს. წამალს თვენახევრის განმავლობაში დღეში სამჯერ, ჭამამდე 30 წუთით, ადრე ერთი სუფრის კოვზის ოდენობით სვამენ.

ნიორი ორგანიზმის ზოგად ტონუსს, შრომისუნარიანობას, სინამდვილის აღქმის სიმძაფრეს, ცხოვრებისადმი ინტერესს ამაღლებს. ნივრის კბილების დაჭყლეტის დროს წარმოიქმნება განსაკუთრებული ნივთიერება – ალლიქსინი, რომელიც სტრესისადმი მდგრადობასს ზრდის და ორგანიზმს სიმსივნური დაავადებებისგან იცავს.

თუ გინდათ ყურადღების კონცენტრირების ამაღლება, შემოქმედებითი უნარების გაძლიერება, აზროვნების პროცესის გააქტიურება, მეხსიერების გაუმჯობესება – აუცილებლად უნდა მიირთვათ ნიორი. ის თავის ტვინის უჯრედებს აუცილებელი ნივთიერებებით ამარაგებს და მის სისხლძარღვებს ასუფთავებს.

# რა დაავადებაა აკრომეგალია



აკრომეგალია დაავადება, რომელიც განპირობებულია სომატოტროპინის ჭარბი პროდუქციით და ხასიათდება ჩონჩხის ძვლების, რბილი ქსოვილებისა და შინაგანი ორგანოების დისპროპორციული ზრდით.

აკრომეგალიის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებს ზრდის ჰორმონების მომატებული პროდუქცია, რაც უმეტეს შემთხვევაში განპირობებულია ჰიპოფიზის ადენომით (დაავადების სიმსივნური ფორმა) ან ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზური სისტემის დაზიანებით.

მეორადია სხვა ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის დარღვევები: კუჭქვეშა, სასქესო, ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლების.

აკრომეგალიით ავადდებიან მამაკაცები და ქალები უპირატესად 20-40 წლის ასაკში. ავადმყოფები უჩივიან სისუსტეს, თავის ტკივილს, ტკივილს სახსრებში, კიდურების გაბუჟებას, ძილის დარღვევას, ოფლიანობას;

ქალებში ვლინდება მენსტრუალური და შობადობის ფუნქციის დარღვევა, მამაკაცებში – ლიბიდოსა და პოტენციის დაქვეითება.

გარეგნობის ცვლილება შედარებით ნელა მიმდინარეობს და, როგორც წესი, პირვლად მას აღნიშნავს არა თვითონ ავადმყოფი, არამედ გარეშე პირი. დაავადების განვითარებასთან ერთად ვლინდება აკრომეგალიისათვის დამახასიათებელი სიმპტომები: სახის ნაკვთების გაუხეშება, – წარბზედა რკალების, ყვრიმალის ძვლების, ქვედა ყბის, კბილებს შორის შუალედების გადიდება. ხდება სახის რბილი ქსოვილების ზრდა: დიდდება ცხვირი, ტუჩები, ყურები; კანი წარმოქმნის უხეშ ნაკეცებს სახეზე და თავზე, განსაკუთრებით ლოყის მიდამოებში, შუბლზე და კეფაზე.

აღინიშნება ცხიმისა და ოფლის ჯირკვლების ჰიპერტროფიითა, აკნე, ფონიკულიტები, სხეულზე თმიანობის მომატება; სახმო იოგების გამსხვილების გამო ხმა დაბლდება, ძილის დროს ავადმყოფი ხვრინავს.

აღინიშნება მტევნებისა და ტერფების გადიდება, უმთავრესად სიგანეში, ქუსლის ძვლების გასქელება. ზრდის ღია ზონების დროს ვითარდება გიგანტიზმი. მატულობს გულმკერდის მოცულობა, ფართოვდება ნეკნთაშუა არეები, შესაძლოა ხერხემლის დეფორმირება სქოლიოზის ან კიფოზის განვითარებით.

კუნთების ჰიპერტროფია თავდაპირველად მიმდინარეობს კუნთოვანი ძალის გაზრდით, დაავადების პროგრესირებასთან ერთად თანდათანობით ვითარდება კუნთოვანი სისუსტე და ადინამია.

ვლინდება სპლანქნომეგალიის ნიშნები, მატულობს ქალაშიდა წნევა; ვლინდება ტოლერანტობის დარღვევა ნახშირწყლებისადმი, შაქრიანი დიაბეტისადმი, ჩიყვის დიფუზური ან კვანძოვანი ფორმები, მათი ფუნქციის დაღვევის გარეშე ან მისი დარღვევებით, ჰიპოკორტიციზმის სიმპტომები, სასქესო ჯირკვალების ფუნქციის დაქვეითება, ჰიპერტენზია.

ჩონჩხის ძვლების რენტგენოგრაფიით ვლინდება ქალას თაღის ჰიპეროსტოზი, საფეთქლისა და ძირითადი ძვლის ღრუების პნევმატიზაცია, სისხლძარღვოვანი სურათის გაძლიერება, ქვედა ყბის გადიდება, ასევე თურქული კეხის გადიდება და მისი დესტრუქციული ცვლილებები.

ლულოვანი ძვლების რეტგენოგრამაზე ვლინდება ეპიფიზების გასქელება; ეგზოსტოზები.

ოფთალმოლოგიური გამოკვლევით შესაძლებელია გამოვლინდეს მხედველობის ნერვების შეგუბებითი დისკოები, მხედველობის ველის შეზღუდვა.

სისხლში აღინიშნება სომატოტროპული ჰორმონის მაღალი დონე, პროლაქტინის, ფოსფორისა და ტუტე ფოსფატაზის დონეთა მატება. ტარდება სომატოტროპინის სეკრეციის დინამიკური გამოკვლევა. დაავადების მიმდინარეობა ხანგრძლივია.

აკრომეგალიის მკურნალობა – ჰიპოფიზარული მიდამოს გამათერაპია, პროტონოთერაპია, ჰიპოფიზის ადენომის ქირურგიული ამოკვეთა. ინიშნება პრეპარატები, რომლებიც აქვეითებენ ზრდის ჰორმონისსეკრეციას; ინიშნება სიმპტომატური მკურნალობა: დიეტოთერაპია, ჰიპოგლიკემიური საშუალებები, ჰორმონოთერაპია.

## ასტროპროგნოზი
### 1 ივნისისთვის



**ვერძი** – მშვიდი და ჰარმონიული დღეა. ეცადეთ, ყველა საქმე დაამთავროთ და ახალი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოთ. ქალაქიდან გასვლას ვარსკვლავები დღეს არ გირჩევენ. **კურო** – იღბლიანი პერიოდია. კომერციული ოპერაციები და საქმიანი გარიგებები წარმატებით დასრულდება. **ტყუპები** – კონფლიქტებს დილიდანვე ელოდეთ. ალკოჰოლი საქმეს უფრო გაამწვავებს. საღამო ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ. **კირჩხიბი** – იყავით კეთილგონიერი. ჭორებსა და უსაგნო საუბრებს ნუ აჰყვებით. თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. ეცადეთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთოთ. ფიზიკური ვარჯიში ძალიან წაგადგებათ. **ქალწული** – უფროსობა თქვენით კმაყოფილია. ასე განაგრძეთ. საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება თქვენი წარმატების საწინდარია. **სასწორი** – ბუნების წიაღში დასვენება, ქალაქიდან გასვლა, ბაღში მუშაობა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. **ღრიანკალი** – ერიდეთ საქმის გარჩევებს. უმჯობესი იქნება, თუ კონფლიქტურ გარემოს საერთოდ გაეცლებით. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღებით მოეპყარით. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. გრძელვადიანი გეგმების შემუშავება რეკომენდებული არ არის. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **თხის რქა** – მძიმე დღეა. დაძაბულობას მხოლოდ მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანებთან კონტაქტი მოგიხსნით. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **მერწყული** – ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. ნუ გადაიღლებით. დაისვენეთ და გაერთეთ მყუდრო გარემოში. **თევზები** – საქმიანი მოლაპარაკებები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს წვრილმანი საკითხები მოაგვარეთ. ერიდეთ შორეულ მგზავრობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ქაღალდის ფული; 2. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 3. დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცაზე დაგროვილი შავი სქელი ნისლი; 4. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის" პროზაულად მთარგმნელი; 10. კინოცენტრი იტალიაში; 11. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 12. თეთრი ფერის ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე-საიზოლაციო მასალა; 15. აზნაურის ტიტული ესპანეთში; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 17. სამაგიეროს გადახდა; 20. მთავარი მოედანი მილანში.

**თარაზულად**: 6. გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება; 7. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 8. ჭაობის ბუ; 9. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 13. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 14. ეგრისის მეფე მეექვსე საუკუნეში; 18. ქართული ხალხური თამაში სპეციალური ბურთით; 19. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 24. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩანადირი; 2. ზანდური; 3. სიმდი; 4. მალხაზი; 5. ჩარხილი; 10. ხეჭეჭური; 11. ბათიაშვილი; 12. პროექტი; 15. დრომადერი; 16. კრუპიე; 17. კარდიფი; 20. კასიო.

**თარაზულად:** 6. ჟანდარმერია; 7. კანკანი; 8. ბაიდარა; 9. დინარი; 13. პიკე; 14. ნადური; 18. სერვოლანი; 19. ტარტუ; 21. იანძი; 22. ლევილი; 23. ნინოშვილი; 24. ბრისტოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქვითხურო; 2. ბოჭორმა; 3. ტვიში; 4. კაპრიზი; 5. კაქტუსი; 10. ბერგმანი; 11. სოციოლოგია; 12. ესკორტი; 15. მარგალიტი; 16. ბრიუგე; 17. ვეროკიო; 20. დაფნე.

**თარაზულად:** 6. ღვინობისთვე; 7. ლახვარი; 8. ფაიზერი; 9. მუღამი; 13. ნიკე; 14. ბონუსი; 18. კონტრალტო; 19. ნესვი; 21. შარჟი; 22. ბელგია; 23. ბობოყვათი; 24. ღლიღვები.

# „სამოსელი პირველის“ პრემიერა ერთი დღით გადაიდო




გურამ დოჩანაშვილის რომან „სამოსელი პირველის“ მიხედვით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმული სპექტაკლის პრემიერა ერთი დღით გადაიდო. 31 მაისს დაგეგმილი პრემიერის ჩაშლის მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა გახდა.

ორივე სპექტაკლზე გაყიდული ბილეთები ძალაშია. 31 მაისის ბილეთების მფლობელები პრემიერის ნახვას შეძლებენ 2 ივნისს. რაც შეეხება 1 ივნისის პრემიერას, ამ თარიღსა და ბილეთებს ცვლილებები არ ეხება.

# შიო მღვიმელი 150




„ქართული საბავშვო პოეზიის ანთოლოგია – შიო მღვიმელი 150“ – ასე ეწოდება გამოცემას, რომელიც ცნობილი საბავშვო მწერლის შიო მღვიმელის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა.

კრებულის პრეზენტაცია პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში შედგება. მასში საბავშვო ხალხურ პოეზიასთან ერთად შესულია შიო მღვიმელის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გოგლა ლეონიძის, შოთა ნიშნიანიძის, ნოდარ დუმბაძის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და სხვა ცნობილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები და ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედება.

# ბავშვთა დაცვის დღეს ზოოპარკი აღნიშნავს




პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამასთან დაკავშირებით თბილისის ზოოპარკში პატარებისთვის დიდი დღესასწაული გაიმართება და მრავალფეროვანი საბავშვო გასართობი ღონისძიებები ჩატარდება.

მთელი დღის განმავლობაში თბილისის ზოოპარკში მისული პატარები მონაწილეობას მიიღებენ თოკების პარკში გამართულ ტურნირში, მხიარულ სტარტებში, სამაგიდო და გუნდურ თამაშებში, შეჯიბრებებში, კონკურსებში.

– ზოოპარკის ყველაზე დიდი მეგობრები ბავშვები არიან, ამიტომ პირველი ივნისისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადებით. სპორტული და შემეცნებით-გასართობი ღონისძიებების გარდა, ჩვენს პატარა სტუმრებს სხვა სიურპრიზებსაც დავახვედრებთ, გავხსნით ბუნებრივი მასალისგან დამზადებულ საბავშვო მინიპარკს.

განახლებაა ჩვენს კოლექციაშიც, ბავშვებს რამდენიმე დღის წინ ევროპის ზოოპარკებისგან საჩუქრად მიღებული ახალი ცხოველების მონახულების შესაძლებლობა ექნებათ. ყველას ვეპატიჟებით თბილისის ზოოპარკში, ერთად აღვნიშნოთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, – აცხადებს თბილისის ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე.

# ქართველმა მოდელმა გოგონამ შეყვარებულს ხელი სთხოვა



მოდელმა ნათია ჩიქოვანმა საყვარელ მამაკაცს ხელი სთხოვა. ფაქტის დამადასტურებელი ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა და ათასობით ნახვაც დააგროვა.

ნათია ჩიქოვანი:

– მე დღეს ლუკას დაქორწინება ვთხოვე. ძალიან დიდი მადლობა ჩვენს უსაყვარლეს მეგობრებს, რომლებიც დღეს ჩვენ გვერდით იყვნენ და განსაკუთრებული მადლობა ერთ-ერთ მათგანს, რომელმაც დროზე დარეკა და სიურპრიზის ჩაშლისგან გადამარჩინა... მან მითხრა დიახ!

მოდელის გადაწყვეტილებას ბევრი დადებითი შეფასება მოჰყვა. ღვინის ერთ-ერთმა კომპანიამ კი ყველაზე გაბედულ გოგონას საჩუქარიც გაუგზავნა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ჯონი მელიქიანი: „თბილისს არ მოსწონს, რუსეთთან კარგად რომ ვართ“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

აქვს და უსაზღვრო შესაძლებლობები არ არსებობს, მათ შორის თურქეთ-აზერბაიჯანისთვისაც. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, წინასაგან განსხვავებით, კარგად ვაჭრობს აზერბაიჯანთან და ამით ბაქოს აგრძნობინებს: რამდენადაც აზერბაიჯანული ენერგომატარებლები მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, იმდენადვე მნიშვნელოვანია აზერბაიჯანისათვის საქართველოს როლი კასპიის ნავთობ-გაზის ტრანზიტის საკითხში.

ყურადღება მივაქციოთ: ცნობილი იყო, რომ „სოკარს“ საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის დამატებითი რაოდენობის მისაწოდებლად რეზერვები არ ჰქონდა, მაგრამ მაინც სადღაც რაღაც გამონახა და კიდევ უფრო მეტი – ტარიფებიც დააკლო... მოკლედ, აზერბაიჯანელებმა ბევრი მსხვერპლი გაიღეს ქართულ ენერგობაზარზე მონოპოლიის შესანარჩუნებლად. როგორც არ უნდა აკრიტიკოს „ქართული ოცნება“ ოპოზიციამ, მე ამას მაინც საქართველოს მთავრობის დამსახურებად ვთვლი. აშკარად ჩანს, რომ დღევანდელი ქართული მთავრობის მეთოდები მუშაობს. თბილისი რეგიონში ბალანსირებას ცდილობს, რაც დადებითი ფაქტია ჩვენთვისაც.

***– და ამ ფონზე როგორია თურქეთის როლი საქართველოში?***

– თურქეთის მიმართაც საკმაოდ საინტერესო სიტუაცია ისახება: ეკონომიკური თვალსაზრისით, თურქეთი საქართველოსთვის მთავარ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობაზე – თურქეთი ნატოს წევრია, საქართველო კი ნატოსაკენ მიისწრაფვის.

ჰოდა, თბილისი ანკარას ერთგვარ დამხმარე ძალად, გზის გამკვლევად მიიჩნევს საქართველოს ნატოში გაწევრიანების მიზნით. ამას წინათ გაიმართა სამმხრივი შეხვედრა აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრების მონაწილეობით, რომელზეც გამოცხადდა მემორანდუმის შემუშავება სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გასაღრმავებლად. აშკარაა, რომ აზერბაიჯანს, რომელსაც არც „ოდკბ“-ში და არც ნატოში გაწევრიანებას არ ცდილობს, მათ სანაცვლოდ რაღაც რეგიონული სამხედრო ალიანსის შექმნა სურს. ამ საქმეში ბაქოს ანკარა ეხმარება, თბილისი კი გარკვეულ თავშეკავებას იჩენს. მიხეილ სააკაშვილი რომ ახლა ისევ პრეზიდენტი იყოს, აზერბაიჯანი, ალბათ, თავის საწადელს მიაღწევდა – სამხრე კავკასიაში სამი სახელმწიფოს სამხედრო ბლოკი შეიქმნებოდა... მაგრამ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ანკარას მუდმივად მიანიშნებს, რომ ის თურქეთს უპირველესად ნატოს წევრ სახელმწიფოდ აღიქვამს, რომლის მეშვეობითაც ალიანსში გაწევრიანება შეიძლება გაიოლდეს.




***– ანუ თურქეთთან თანამშრომლობას საქართველოსთვის მნიშვნელობა უმთავრესად მხოლოდ ნატოს წევრობის გამო აქვს და არა როგორც ზოგადად თურქულ სახელმწიფოსთან?***

– დიახ, სწორედ ნატოს წევრობის გამო. და როცა ამას საქართველო აცხადებს, ამით ბაქოს მიანიშნებს, რომ თანამშრომლობაში არის რაღაც „წითელი ხაზები“, რომლებსაც თბილისი არ გადააბიჯებს. საერთოდ კი, დღეისათვის ყალიბდება სიტუაცია, რომელიც სომხეთისათვის, პრინციპში, საშიში არ არის. რასაკვირველია, პარალელურად ჩვენ საქართველოს მიმართ მეტი აქტიური მუშაობა გვმართებს, საჭიროა დიპლომატიური საქმიანობის გაასკეცება. უნდა გვახსოვდეს, რომ აზერბაიჯანს საქართველოზე გავლენის მოხდენის მიზნით სერიოზული ფინანსური შესაძლებლობები გააჩნია, რითაც აქტიურად სარგებლობს. ბაქო იყენებს აგრეთვე აზერბაიჯანული თემის შესაძლებლობებსაც. მაგალითად, როცა საქართველოში გამართულ ერთ-ერთ აქციაზე სომხებმა ყარაბაღის დროშა ააფრიალეს, აზერბაიჯანულმა ლობმა მოისურვა საკანონმდებლო დონეზე აკრძალულიყო „სეპარატიზმის ყველანაირი გამოვლინება“... გამოდის, რომ თუ რომელიმე დემოკრატიული აქციის დროს ვინმე არცახის დროშას აღმართავს, აზერბაიჯანელების აზრით, ეს კანონგარეშე მოქმედებაა... აბსურდია, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ყველაფერი ბაქოდან იმართება. ამიტომაც სომხური დიპლომატია უმოქმედოდ არ უნდა იყოს.

ხშირად ჩვენ,= საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს სენსაციად აღვიქვამთ (რაღაც არ მოგვწონს), მაგრამ, აბა, დავფიქრდეთ: სომხეთი ამჟამად „ოდკბ-ისა და ევრაზიული კავშირის წევრია, საქართველომ კი ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას და ნატოსაკენ მიილტვის. თბილისს, ეკონომიკური და პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, ბაქოსთან და ანკარასთან კარგი ურთიერთობები აქვს, ორივე მეზობელს დღეისათვის საქართველოში დიდი ინვესტიციები აქვთ ჩადებული, განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში. შესაბამისად, ჩვენ არსებული რეალიები უნდა გავაცნობიეროთ.

განა თბილისს მოსწონს ის, რომ ჩვენ რუსეთთან ვართ? ალბათ, არ მოსწონს, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ, ორივე მხარე – სომხურიც და ქართულიც – ერთმანეთის პოზიციას გაგებით ვეკიდებით. გავიხსენოთ სომხეთის თავდაცვის მინისტრ სეირან ოგანიანის განცხადება – ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანსო. იმავეს აცხადებს საქართველოს ხელისუფლება – ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში და „ოდკბ“-ში ინტეგრირება სომხეთის სუვერენული არჩევანიაო. ფაქტია, რომ ორივე მხარეს სჭირდება ურთიერთობის განვითარება არსებული ობიექტური რეალიების გათვალისწინებით. ამ ორიოდე წლის წინ ჩვენთან ბევრი ამბობდა, ევრაზიულ კავშირში სომხეთის გაწევრიანება საქართველოსთან ურთიერთობას გააუარესებსო, მე კი ვამტკიცებდი, რომ ასე არ მოხდებოდა. ჩემი სიტყვები ახდა.

ღრმად ვწუხვართ

ჩვენს ძმას

**ზაურ ამბაკოს ძე გელენავას**

ვუსამძიმრებთ, პირველ რიგში, ჯანმრთელობას, მეღნიერებასა და უფლის წყალობას საყვარელ ოჯახთან, მეუღლესთან და შვილიშვილებთან ერთად.

**ძმები ტრიფო, დაზმირ და ვახტანგ გელენავები**

# იან კელი: „წინასაარჩევნო ეტაპზე ტელევიზიებში ნებისმიერი ცვლილება დაუშვებელია“



– ნებისმიერი ცვლილება ტელევიზიაში, სარედაქციო მენეჯმენტში, სარედაქციო პოლიტიკაში არ არის დასაშვები, არ არის მისაღები ამ პერიოდში, როდესაც ქვეყანა წინასაარჩევნო ეტაპზე იმყოფება, – განუცხადა ჟურნალისტებს აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმეზე მიმდინარე პროცესის შეფასებისას.

– ახლა არ იქნებოდა ჩემგან მიზანშეწონილი, გავაკეთო კომენტარი თვითონ პროცესზე, რადგან პროცესი სააპელაციო დონეზეა აყვანილი. ამის შესახებ რამდენჯერმე გამიკეთებია კომენტარი. მე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ნებისმიერი ცვლილება ტელევიზიაში, სარედაქციო მენეჯმენტში, სარედაქციო პოლიტიკაში არ არის დასაშვები, არ არის მისაღები ამ პერიოდში, როდესაც ქვეყანა წინასაარჩევნო ეტაპზე იმყოფება, – განაცხადა იან კელიმ.

*მედიანიუსი*

# TV პროგრამა

## ოთხშაბათი 1 ივნისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფგიარი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ჰელბოი** XX: **ოქროს არმია**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "სიყვარულის სახელით" 14.00 დ/ფ "ბერლინი 1885 წელი იერიში აფრიკაზე" 16.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 სერ. "**ვენდეტა**" 5 სერ. 01.45 მხ/ფ "**სნაიპერი**" 04.00 მხ/ფ "**საბედისწერო მოგზაურობა**" (ტიტ.)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ."**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 22.00 ნანუკას შოუ 00.00 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 23.40 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 0.40 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დ/ფ "ნარკომანია-თავისუფლება თუ მონობა" 11.15 ერთხელ ბავშვობაში 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "აგლაუნემა კომუტატუმი" 15.10 ქართული ან/ფ 15.20 ღვთის სახლი "აფხაზეთის საკათალიკოსო" 2 16.00 კონცერტი 17.10 ძველი აფიშა "ჩვენი პატარა ქალაქი" 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" 2 სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 წმინდა მოციქულთა სწორი ნინო 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 ჩვენი ფონდი-წმინდა ნინო 00.25 ისტორიის დღიური 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.00 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ფართოა მდინარე**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 ივნისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1472 |
| ევრო | 2.3913 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1362 |
| 100 რუსული რუბლი | 3.2507 |

## ამინდის პროგნოზი 1 ივნისისთვის





## 3 ივნისიდან

ჯეიმს მეთიუ ბარი

# პიტერ პენი




ფერადი ილუსტრირებული გამოცემა

ილუსტრატორი ერიკ კინკეიდი

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**



## 30 მაისიდან




ფენიმორ კუპერი

# უკანასკნელი მოჰიკანი

ფანტასტიკა, თავგადასავალი

ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## იუმორი



გოგონას ეკითხებიან:

– რამდენი ასოა ანბანში?

– ექვსი.

– ექვსი? რომლები?

– ა,ნ,ბ,ა,ნ,ი. სულ ექვსი გამოდის.

●●●

ოჯახი სადილობს. ბავშვი არ ისვენებს და ხმაურობს. მამა შენიშვნას აძლევს:

– როდესაც ვჭამ, ყრუ-მუნჯი ვარ.

ბავშვმა მამას ახედა და უპასუხა:

– მე კი ნორმალური ვარ...

●●●

ექიმი პროქტოლოგი მიღებაზე შესულ პაციენტს ისე, რომ ზედაც არ შეხედავს და არც არაფერს შეეკითხება, ეუბნება:

●●●

– ჩაიხადე და წაიკუზე.

– ავადმყოფი დამორჩილდა. ექიმმა დაათვალიერა და ეუბნება:

– კი მაგრამ, არაფერი გჭირთ და ჩემთან რატომ მოხვედით?

– მე სტომატოლოგთან ვარ მოსული.

– მერე, შარვალი რატომღა ჩაიხადეთ?

– მე მეგონა, კბილის ფესვს ეძებდით.

●●●

მგელი, მელა და გოჭი ორმოში ჩაცვივდნენ. ყველა ნერვიულობს. მხოლოდ მგელია მშვიდად და თავისთვის ფიქრობს: „მელა გვერდით მყავს, თუ ქალი მომინდება, გოჭი კი საჭმელად მეყოფა, ასე რომ, სანერვიულო არაფერია“ და გოჭისკენ გაიწია. გოჭი მიხვდა ყველაფერს და მგელს შეევედრა:

– ბატონო მგელო, ვიცი ჩემი აღსასრულის დრო მოვიდა და გთხოვ, სიკვდილის წინ ერთი თხოვნა შემისრულო.

– რა თხოვნა?

– მინდა ვიმღერო.

– იმღერე.

გოჭმა ჭყივილი მორთო. მის ხმაზე მონადირეებმა მოირბინეს, მგელი და მელა სარზე გააკრეს, მხარზე გაიდეს და მიჰყავთ. მგელი ფიქრობს: „რა სულელი ვარ, სადილი მქონდა, სექსიც მექნებოდა, მე კი შოუ მოვინდომე!!!“

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რითი განსხვავდება სიყვარული სექსისგან?

– სიყვარული ღირსეულს ირჩევს, სექსი კი ხელმისაწვდომს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 31 მაისიდან

# სომერსეტ მოემი

## მთვარე და ექვსპენიანი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**





# სიღნაღის თეატრის თანამშრომლები კანადაში დარჩნენ

სიღნაღის თეატრის 6 თანამშრომელი კანადაში გასტროლების დასრულების შემდეგ კანადაში დარჩა.

დასი ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გაემგზავრა. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელ დავით ჯანიკაშვილის ინფორმაციით, სიღნაღის თეატრი, რომელსაც 16-23 მაისს ფესტივალში მონაწილეობის მიღება სურდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, საკონსულო მომსახურებასა და სამივლინებო ხარჯებისთვის 11.000 ლარამდე გადაერიცხა.



– სიღნაღის თეატრის დასი ფესტივალზე წარმატებით გამოვიდა და სამი პრიზიც აიღო, თუმცა მისი დასრულების შემდეგ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 6-მა თანამშრომელმა, რომელთა შორის არიან სამი მსახიობი, მხატვარი, რადისტი და მომღერალი, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და კანადაში სამუშაოდ დარჩა, – განუცხადა დავით ჯანიკაშვილმა ჟურნალისტებს.

სიღნაღის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ მურად ვაშაკიძის თქმით, დასს ვიზები ნოემბრის ჩათვლით აქვს. გამოდის, რომ თეატრის თანამშრომლებს, რომლებიც კანადაში დარჩნენ, სავიზო რეჟიმი არ დაურღვევიათ.

– ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა და ამან ჩვენი დასის რეპუტაციაზე უარყოფითად იმოქმედა. სპექტაკლზე დასასწრებად კანადაში მცხოვრები ქართველები მოვიდნენ და დასის წევრები, სავარაუდოდ, მათ გადაიბირეს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ვიზები ჩვენ 15 ნოემბრამდე გვაქვს და მათ აქვთ უფლება, ეს დრო სადაც უნდათ, იქ გაატარონ. – განაცხადა სიღნაღის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# დიეგო სიმეონე შეიძლება ატლეტიკოდან წავიდეს



მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგების შემდეგ განაცხადა, რომ ის სერიოზულად ფიქრობს, გააგრძელოს თუ არა ატლეტიკოში მუშაობა.

სიმეონეს თქმით, ორი ფინალის წაგება ძალიან რთულია და მაყურებელს მხოლოდ გამარჯვებული ამახსოვრდება.

– ატლეტიკოს ფეხბურთელები და ეს კლუბი ძალიან მიყვარს, მაგრამ, უნდა ვიფიქრო იმაზე, ღირს თუ არა აქ მუშაობის გაგრძელება. ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიმიღია, ამიტომ მომავალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, – განაცხადა ატლეტიკოს დამრიგებელმა.

დიეგო სიმეონე ატლეტიკოში 2011 წლის დეკემბერში მივიდა, 2014 წელს კი მისი ხელმძღვანელობით მადრიდულმა კლუბმა ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო.

# მარკუს რეშფორდი როი ჰოჯსონის სიაში მოხვდა



ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ.

ლესტერის საყრდენი ნახევარმცველი დანიელ დრინკვოტერი ამ სიაში ვერ მოხვდა, რაც ბევრისთვის მოულოდნელი იყო. სამაგიეროდ, მანჩესტერ იუნაიტედის ახალგაზრდა ფორვარდი მარკუს რეშფორდი საფრანგეთში გაემგზავრება და თავისი ქვეყნის ღირსებას დაიცავს.

რეშფორდის გარდა, ჰოჯსონმა ევროპის ჩემპიონატზე დანიელ სტარიჯიც წაიყვანა, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა.

ინგლისის ნაკრები ევრო 2016-ზე თავის პირველ შეხვედრას 11 ივნისს გამართავს და მისი მეტოქე რუსეთის ნაკრები იქნება.

# მარკო როისი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს



დორტმუნდის ბორუსიის ფორვარდი მარკო როისი თავის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ვერ დაეხმარება. ამის მიზეზი ტრავმაა, რომელიც მარკომ ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მიიღო.

როისის არყოფნა უდავოდ დაასუსტებს გერმანიის ნაკრებს, რომელიც ევრო 2016-ის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ როისმა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოტოვა და მიზეზი მაშინაც ტრავმა იყო.

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოაჰიმ ლიოვმა განაცხადა, რომ როისი მის გუნდს ძალიან დააკლდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანელები ფავორიტებად რჩებიან.

ქვეჯგუფში ლიოვის შეგირდებს პოლონეთის, უკრაინისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან.

# კეილორ ნავასი კოპა ამერიკაზე არ ითამაშებს



კოსტა რიკის ნაკრებისა და მადრიდი რეალის გოლკიპერი კეილორ ნავასი კოპა ამერიკაზე მონაწილეობას არ მიიღებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნავასს ფეხის ქრონიკული ტრავმა აწუხებს, რის გამოც ის ხშირად იღებს ტკივილგამაყუჩებელ აბებს თამაშების წინ.

ნავასის თქმით, მას დასვენება და ტრავმის მოშუშება ესაჭიროება.

ნავასი წლების განმავლობაში ლევანტეს ღირსებას იცავდა, 2015 წლის ზაფხულში კი ის მადრიდის რეალში გადავიდა, სადაც მალე გახდა სამეფო გუნდის პირველი მეკარე.

# მარკ ბარტრა შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედში აღმოჩნდეს



თითქმის უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ მარკ ბარტრა წლევანდელ ზაფხულს ბარსელონას დატოვებს.

ბარტრა ბარსელონაში ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იმყოფება და ლუის ენრიკე აქცენტს სხვა ფეხბურთელებზე აკეთებს. ბარტრათი რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული, რომელთაგან ყველაზე მეტად მანჩესტერ იუნაიტედი აქტიურობს. ბარტრას გამოსასყიდი 8 მილიონი ევროა, რაც, დღევანდელი სტანდარტებით, საკმაოდ მცირე თანხაა.

მარკ ბარტრა ერთ-ერთ პერსპექტიულ ახალგაზრდა მცველად ითვლებოდა, მაგრამ მასზე გაცემული ავანსები ჯერჯერობით ვერ გაამართლა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ბრიტანელი ბილიარდისტი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი; 2. ადამიანის თავის მქონე, მწოლიარე ლომის გიგანტური ქანდაკება ეგვიპტეში; 3. თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 4. გუთნის დედის ქართული სახელწოდება; 5. ლონდონში „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 10. ფიცხი ადამიანი; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 12. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 15. იტალიური საკონდიტრო; 16. ტროას ძველბერძნული სახელწოდება; 17. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 20. მდინარე ბერლინში.

**თარაზულად**: 6. საერთაშორისო ხელშეკრულების დაკანონება; 7. ჭაობის მწერიჭამია მცენარე; 8. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 9. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 13. ხერესის მარკის ღვინის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 14. ხელოვნების, მეცნიერების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 18. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 19. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 21. ამერიკული სამხედრო, მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 22. ზღვრული ნორმა; 23. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 24. მძიმე ტვირთების გადასაზიდი, მისაბმელიანი ავტომობილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი